პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24,
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

ოსმალეთის მთავრობამ დაადგინა ანატოლიის გზის გამოყიდვა უცხოელებისაგან.

ფინეთის მთავრობა განაგრძობს კომუნისტების დევნას.

ბულგარეთის სამხედრო სასამართლომ [illegible] 24 გლეხს მიუსაჯა 7 წლის ციხე.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა ფართე ხასიათს ღებულობს.

ინგლისის სავაჭრო წრეები ძლიერ დაშინებულნი არიან იტალია-რუსეთის დაკავშირებით.

№ 283 შაბათი, 8 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 283

Коллекция Ник. Федосеев Грузия

მარქსის კაბინეტი და სოციალ-დემოკრატია

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, პრეზიდენტმა ებერტმა დიდი ვაივაგლახით ბოლოს „გამოსძებნა" საკანცლერო კანდიდატი, რომელიც დღევანდელ მომენტში ასე თუ ისე მისაღები შეიქნა რეიხსტაგის უმრავლესობისათვის,—ესაა ცენტრის ლიდერი ბატ. მარქსი.

ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ იმაზე, რომ მთავრობის მორიგმა კრიზისმა გერმანიაში, ახალი კანცლერის ძებნამ, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხან ერთს დეპუტატს შესთავაზა ეს „საპატიო" პოსტი, ხან მეორეს და მესამეს, ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ გამოაშკარავა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის სრული გაკოტრება.

აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ პარლამენტარიზმის ამ საბოლოო უძლურების და სასკანდალო დაშლის შიშმა არა უკანასკნელი როლი ითამაშა რეიხსტაგის ზოგიერთი ფრაქციებისთვის, რომ „პარლამენტარულ" წესით შეეხანხლათ ახალი კაბინეტი და მისთვის მიეცათ განსაკუთრებული უფლებები, რაც არსებითად უდრის რეიხსტაგის გაუქმებას.

ბურჟუაზიული პარტიები ეფარებიან პარლამენტს, რამდენადაც კიდევ საყოველთაოდ არ დაცემულა მისი პრესტიჟი მშრომელი ხალხის კლასობრივად ნაკლებად გათვითცნობიერებულ და ოპორტიუნისტულ ნაწილში, რათა ამ ფიქტიური სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს საშუალებით უფრო ადვილად და უმტკივნეულად გაატარონ თავიანთი პროგრამა.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიას, ის საბოლოოდაა ჩაფლული პარლამენტარული ილიუზიების ჭაობში და, როგორც დამხრჩვალი ხავსს, ისე ეღოაუჭება პარლამენტარიზმს, როგორც თავის, ისე ბურჟუაზიის გადასარჩენად. ცნობილმა შეიდემანმა განაცხადა რეიხსტაგში, რომ სოც.-დემოკრატია ხმას აძლევს კანონ-პროექტს მთავრობის უფლებათა გაფართოებისათვის, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა გამოიყენებს კონსტიტუციის პარაგრაფს განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ. რა მოკრძალებას იჩენს სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიული კონსტიტუციის მიმართ, რათა ამავე კონსტიტუციის საფუძველზე ბურჟუაზიულ კაბინეტს გაუხსნას ხელები „განსაკუთრებული ზომების" მიღებისა ფაქტიურად თვით ისედაც რეაქციონური პარლამენტარულ რეჟიმის გასაუქმებლად და მემარჯვენეთა დიქტატურის დასამყარებლად.

სოციალ-დემოკრატიამ ერთხელ კიდევ სამარცხვინოდ უღალატა მუშათა კლასს, მარქსის კაბინეტისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებით.

როგორ მოხდა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ, რომელმაც გაილაშქრა შტრეზემანის წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი მოითხოვდა განსაკუთრებულ უფლებებს, მარქსი აღჭურვა ასეთი უფლებებით?

მარქსის კაბინეტი თუ რამით განირჩევა შტრეზემანის მთავრობისაგან, მხოლოდ თავისი მეტი მემარჯვენეობით.

ებერტმა მოიწონა და მადლობა გადაუხადა შტრეზემანს წარსული „მოღვაწეობისათვის". მარქსმაც მადლობით მოიხსენია შტრეზემანი, იმიტომ, რომ ის დასთანხმდა შესულიყო მის კაბინეტში გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე და ამით საშუალება მისცა შემდეგშიაც გააგრძელოს მისი საგარეო პოლიტიკა.

ამგვარად, ფაქტიურად ისევ შემდგარია შტრეზემანის კაბინეტი, გატარდება მისი პოლიტიკა, უფრო რეაქციონური ელფერით.

ამ პოლიტიკამ კი, ჩვენ ვიცით, თუ რა შედეგები მოიტანა—სრული განადგურება გერმანიის მეურნეობის, ხალხის უკიდურესი გაღატაკება. გერმანიის დანაწილება და სხ.

სოციალ-დემოკრატიამ კი, რომელიც წინედ ფართე მასის ზედგავლენით და მისთვის თვალის ასახვევად, იძულებული გახდა უნდობლობის ვოტუმი გამოეცხადებია შტრეზემანისათვის, ისევ უკან დაიხია და მის მემკვიდრეს განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა.

სოციალ-დემოკრატიამ ხელი აიღო თავის მოთხოვნაზე საალყო და საგანგებო წესების მოხსნის შესახებ გერმანიაში, მანვე მისცა ახალ მთავრობას „კონსტიტუციონური" შესაძლებლობა გააუქმოს რვა საათის სამუშაო დღე, დევნოს, რევოლიუციონური პროლეტარიატი და კომუნისტური პარტია.

სოციალ-დემოკრატიამ, რომელმაც ერთი პატარა და გაუბედავი ნაბიჯი გადადგა წინ შტრეზემანის დამხობაში მონაწილეობის მიღებით, ათი ნაბიჯით დაიხია უკან მარქსისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებით.

და ასეთი სამარცხვინო ღალატი მან ჩაიდინა იმიტომ, რომ მონაა ბურჟუაზიულ დემოკრატიის, პარლამენტარიზმის, დამცველია ბურჟუაზიული წყობილების და არა ნაკლები მტერი რევოლიუციის, ვინემ ბურჟუაზიული პარტიები.

გერმანიის მუშათა კლასისათვის ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო გაკვეთილთაგანია სოციალ-დემოკრატიის უთვალავი გამცემლობიდან.

მაგრამ შესძლებენ კი გერმანელი მენშევიკები ბურჟუაზიის დაცვას მარქსის მთავრობისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებით?

მარქსს და სექტს ებერტის ლოცვა-კურთხევით შეუძლიათ „დაშალონ" კომუნისტური პარტია, ასობით ციხეში ჩასვან თავდადებული რევოლიუციონერები, მაგრამ აძით ისინი ვერ მოისწრებიან მუშათა კლასის ჩახშობას, ამით ისინი ვერ მისცემენ სურსათს დამშეულ ხალხს, ამით ისინი ვერ გამოასწორებენ დამოკიდებულებას საფრანგეთთან და სხვ.

გერმანიის კომუნისტური პარტიას ვერ შეაშინებს მარქსის განსაკუთრებული უფლებები. ის იატაკ ქვეშ განაგრძობს მშრომელი მასის მობილიზაციას. სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობა დააჩქარებს ამ პროცესს და შესაფერ მომენტში კომუნისტური პარტია კიდეც იტყვის თავის გადამჭრელ სიტყვას.

შობის ხის მოჭრის აკრძალვა

საქართველოშიაც უკანასკნელ დროს გავრცელებული იყო შობის ხის გამართვა. ეს ჩვეულება გავრცელებულია ჩრდილოეთ ევროპაში (გერმანია, ნორვეგია და სხვა), სადაც იგი შემოღებული იყო უხსოვარ დროიდან, როგორც მაჩვენებელი „ღვთის უხვი და დაუვიწყარ წყალობისა", რის ნიშნად ნაძვის ხეს ჰკიდებდნენ სხვადასხვა ნივთებს, რთავდნენ სხვადასხვა სათამაშოებით, სალამოობით ჩირაღდნით ანათებდნენ და გარშემო ცეკვავდნენ.

ეს ჩვეულება შემდეგში გერმანელებმა რუსეთში შემოიტანეს, სადაც იგი უმთავრესად მდიდარ ოჯახებში გავრცელდა. რუსეთიდან გადმოვიდა ჩვენში, აქაც ფეხი მოიკიდა, უმთავრესად, შეძლებულ და განათლებულ ოჯახებში. ჩვენ სოფლებში ამის მაგივრათ გავრცელებულია შობის მილოცვა ალილოთი, მეკვლეობა და სხვა. როგორც ქვევით დავინახავთ, შობის ხის გამართვა ჩვენ ტყეებს საგრძნობელ ზარალს აძლევს და, როგორც მავნე ჩვეულება, იგი განდევნილი უნდა იყოს.

გერმანიაში ამ ჩვეულებას იმდენი ზიანის მიყენება არ შეუძლია, როგორც ჩვენში.

გერმანიის ტყეები კერძოთ და ჩრდილოეთ ევროპისა საზოგადოთ, სადაც ეს ჩვეულებაა გავრცელებული, ეკუთვნის წიწვიან ზონას და აქ ნაძვი შეადგენს უმთავრეს გავრცელებულ ჯიშს, რომელსაც ბევრგან უჭირავს ტყეების 80 პროც. მოედანი. ევროპაში შობის ხისათვის არჩევენ ისეთ ხეებს, რომლის მოჭრა ტყის მოვლის თვალსაზრისით სასარგებლოა და სასურველიც არის. თვით ხეების არჩევას აწარმოებს ფრიად გამოცდილი სატყეო ადმინისტრაცია და არა შობის ხეს მყიდველი. უფრო ხშირად ნორჩ ხეს კი არ სჭრიან, არამედ შემოსულ და გასასყიდად უკვე მოჭრილ ხის ტოტებს აჭრიან და ამ ტოტებიდან ხელოვნურად შობის ხეს აწყობენ. ამნაირათ იქ ტყეს ზარალი სრულიად არ ეძლევა.

სულ სხვაა ჩვენში. ტფილისის რაიონის ტყეები, საიდანაც უმთავრესად შემოდის ტფილისის ბაზარზე შობის ხე, ფრიად ღარიბია წიწვიანი ჯიშებით. ამ ტყეებში ნაძვი, მაგალითად, სხვა ჯიშების 2—3 პროც. არ შეადგენს. საერთოდ წიწვიანი ტყეები ჩვენში ფრიად უნუგეშო მდგომარეობაშია. რადგანაც ამ ჯიშების ხე-ტყე საუკეთესოთ საშენებელ მასალად ითვლება, ამიტომ წიწვნარ ტყეს ბოლო ეღება და, თუ აქ ტყე მთლად არ ისპობა, მაინც მის ალაგს წიფელი და რცხილა იჭერს.

უკვე ბოლო მოეღო თვალგადაუწვდენელ წიწვნარს გორის მაზრაში (საფალავანდო, საციციანო და სხვა), ასეთივე მდგომარეობაშია მანგლისის და შორაპნის, წიფა-მარელისის რაიონი. თუმცა ბორჯომის ტყეები უკეთესად არის შენახული, მაინც იქაც წიწვიანი ჯიშების ალაგს თანდათან წიფელა იჭერს. ჩვენი იმედი წიწვიანი ტყის შერჩენის შესახებ უნდა იყოს დამყარებული მოზარდ ნაძვნარზე, რომელსაც ბოლოს უღებენ და შობის ხეთ სჭრიან. თუ ამ მოზარდ ხეებს არ გაუფრთხილდებით, ჩვენი ტყეები ღირსებას და ფასს დაჰკარგავენ, საშენებელ ტყის მაგიერ მხოლოდ შეშა-სანახშირე ტყე ლა შეგვრჩება. შემდეგში ბევრი ფულიც, რომ დავხარჯოთ, ნაძვნარი ტყეების გაშენება ძნელი იქნება.

დაუშვებელია შობის ხის მოჭრა იმიტომაც, რომ მას იქ კი არ სჭრიან, საცა მისი მოჭრა თუ არ შეიძლება, დიდათ საზარალო მაინც არ იქნება, არამედ სწორედ ისეთ ადგილას და ისეთ ხესა სჭრიან, რომლის მოჭრა ტყისათვის ფრიად მავნებელია. შობის ხისათვის საუკეთესოთ ითვლება 4—6 არშ. სიმაღლე და ხშირ ტოტებიანი ნაძვი. ამისთანა ხე იზრდება იმ შემთხვევაში, თუ იგი ცალკე და ძალიან თხელ ტყეში აქა იქ არის შერეული. ამისთანა ხე მალე იზრდება და შემდეგში, როგორც დედა ხე, ირგვლივ აშენებს ნაძვნარ ტყეს. ამის მოჭრა კი გაათხელებს ისედაც თხელ ტყეს და, რაც უფრო საყურადღებოა, სრულიად ბოლოს მოუღებს ნაძვნარს. გარდა ამისა, ჩვენი სატყეო ადმინისტრაცია ხეების ამორჩევაში ვერ შესძლებს ხელმძღვანელობის გაწევას. ამისათვის იგი ფრიად მცირე რიცხოვანია და, ჯერ-ჯერობით, არც იმდენი ცოდნა აქვს, რომ შესძლოს ამ ხელმძღვანელობის გაწევა.

უნდა გვახსოვდეს ერთი გარემოებაც. ფოთლიანი ტყე, თუ იგი ახალგაზრდობაში მოჭრილია, იძლევა უხვ ამონაყარს, ბარტყობს, ასე რომ მოჭრილი ტყე ახლდება და ხელმეორედ იზრდება. მაგრამ თუ წიწვიანი ტყე მოიჭრა ის თავის დღეში ამონაყარს არ იძლევა, არა ბარტყობს, ამიტომ იგი უგეშოდ იკარგება. რადგანაც ტფილისის ახლო, სადაც წინად ნაძვნარი იყო, ეხლა მხოლოდ გადარჩენილია მოზარდი ხეები, რომელიც ჯერ თესლს არ იძლევიან, ამიტომ ამ ხეების მოჭრით საბოლოვოდ ესპობა წიწვიანი ჯიშებიც.

ყოველწლივ ტფილისში შობის ხე ათი ათასობით შემოდის. რომ გამოვიანგარიშოთ ის ზარალი, რომელსაც ყოველწლივ ეს ჩვეულება იძლევა, დავინახავთ, რომ ზარალი დიდი და ჩვენ ტყეებისათვის საგრძნობელია. შობის ხისათვის იჭრება 15—25 წლის ხე, ამ ხნის ხე ჯერ ისევ ნორჩია; პირველ ხანში ნაძვი მეტათ მძიმეთ იზრდება, 5 წლის ნაძვი, მაგალითად, ძლივს აღწევს 20 სანტ. (4—5 ვერშოკს), ათი წლისათვის ის 1 მეტრამდის (1 ნახ არშ.) ძლივს იზრდება, ხოლო 15—25 წლის ნაძვი მარდათ ზრდას იწყებს და 20 წლისას 2—3 მეტ. (3—5 არშ.) სიმაღლე აქვს. ნამდვილი ზრდა სიმაღლეზე მხოლოდ ამის შემდეგ იწყება. ნაძვს ბევრი ბრძოლა უხდება, ვიდრე ამ დროს მიაღწევს. მას სიყრმეში აუარებელი მტრები ყავს მწერსა და სოკოების შორის.

უფრო დიდი ბრძოლა უხდება მას სხვა ნაძვებთან სინათლის გულისათვის. ათასი და ათი ათასი ილუპება, ვიდრე ნაძვნარი მიაღწევს 20—25 წელს. აი ჩვენ ხეს უკვე მომეტებული მტერი მოგერებული ჰყავს, აი უკვე შეუდგა სწრაფათ სიმაღლეზე და სისქეზე ზრდას და აი სწორეთ კი ამ ხანს სიცოცხლეს უსპობენ და შობის ხეთ სჭრიან! ის 30—40 ათასი ხე, რომელსაც შობის ხეთ სჭრიან, შემდეგში მოგვცემდა დიდ შემოსავალს. საშუალო სიმაღლის და სისქის ნაძვის ხე ღირს 5 მანეთამდე ოქროთი. მაშასადამე, ეს 30.000 ხე მოგვცემდა სულ უკანასკნელ 150,000 მან. ოქროთი. ჩვენ ისე მდიდრები არა ვართ, რომ ყოველწლივ ამ ჩვეულებას ასეთი დიდი მსხვერპლი შევწიროთ ხოლმე.

სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებით სატყეო განყოფილებამ შობის ხის მოჭრა წელს სრულიად აკრძალა. მაშასადამე, თუ ბაზარზე გაჩნდა შობის ხე, ეს ხე ტყიდან მოპარული იქნება. ყველა მოქალაქე მოვალეა ამ აკრძალვას ანგარიში გაუწიოს და არ გამართოს შობის ხე. შობის ხის მყიდველი წააქეზებს იმ წვრილ სპეკულიანტებს, რომელნიც იმ იმედით, რომ თუ მილიციამ ათი და ოცი ხე ჩამოართვა 1000 და 10.000 ხეს მაინც გაჰყიდის და ზარალში არ დარჩება. შობის ხის მყიდველი ხელს უწყობს ტყის მოპარვას და ამნაირად ბოროტმოქმედების მონაწილე ხდება.

პროფ. ხ. ქურდიანი.

წერილები ბერლინიდან

ფინანსიური ქაოსი

მე შემეძლო მეთქვა, რომ „ფინანსიურმა ქაოსმა მიაღწია თავის განვითარების უმაღლეს წერტილს", მაგრამ ეს ძველის-ძველი გამოთქმა ამ შემთხვევაში არ იქნებოდა საკმაო; ყოველ დღე, სიკოტრის დაუსრულებელ სფეროში, გერმანია აღწევს სულ ახალ-ახალ საფეხურებს ისე, რომ ხვალისათვის კიდევ ასცილდეს მათ.

ჩვენ გვაქვს უკვე, ან სულ ახლო მომავალში გვექნება, ხმარებაში 10 სხვადასხვა სახის ფულის ნიშანი, რომელთაგან 4 მოკლებულია რეალურ ღირებულებას, ხოლო დანარჩენ 6 აქვს ნომინალური რეალური ღირებულება...

1. ქაღალდის მარკა, რომელიც ყველაზე მცირე ერთეულს შეადგენს დღეიდან —1 მილიარდი; 2, 3, 4,—ქაღალდის მარკები, რომლებიც გამოშვებულია გერმანიის სხვადასხვა ქალაქების ცალკე ფედერატიული რესპუბლიკების და რკინის გზათა დირექტორების მიერ, 5—ოქროს სესხი, ანუ „გერმანული დოლარი"; 6—სარენტო მარკა რეალური ღირებულებით; 7—ბონები რეალური ღირებულებით, რომლებიც გამოშვებულია ბანკების და კომერციული ფირმების მიერ; 8, 9, 10,—ქაღალდები რეალური ღირებულებით, რომლებიც გამოშვებულია ქალაქების, ცალკე სახელმწიფოების და რკინის გზების მიერ. მე არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ აქ მე ყველაფერი ჩამოვთვალე.

ვინ სარგებლობს ასიგნაციების ასეთი მრავალფეროვანებით? მხოლოდ და მარტო სპეკულიატიური ფინანსისტები, რომლებიც სათითაოდ მტაცებლებათ გადაიქცენ. ვის აძლევს ზიანს ეს მადაგახსნილი სპეკულიაცია? სახელმწიფოს და მშრომელ მასებს.

ოქროს სესხი წარმოადგენს საგანს სამარცხვინო აჟიოტაჟისა, რასაც კიდევ უფრო აადვილებს დოლარის ოფიციალური და ხელოვნურათ შექმნილი კურსი ბერლინის ბირჟაზე და რეიხსბანკის მიერ საქმეების წარმოების სრული უცოდინარობა. ერთის მხრით, ცდილობდენ აეწია ოქროს სესხის კურსი დოლართან შედარებით; მეორე მხრით კი ვერ შესძლეს დაეკმაყოფილებიათ მოთხოვნილება მცხოვრებლების, რომელთაც ამავე დროს აკრძალული აქვთ უცხოეთის ყოველგვარი სხვა ვალიუტის შენახვა. ამის შედეგი იყო ხელახალი დაცემა ქაღალდის მარკის,—რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „სამუშაო ხელფასის მარკა,"—აუწერელი ზარალი რეიხსბანკისათვის და უამრავი სარგებელი რამოდენიმე სპეკულიანტისათვის. მოვიყვანოთ მაგალითები „ფორვერტს"-იდან.

ერთმა მოხერხებულმა ბანკირმა იყიდა 2,000 „გერმანული დოლარი" 65 მილიარდი მარკის კურსით, ესე იგი 130 ტრილიონათ, რეიხსბანკი უნაღდებს მას კუპიურებს მხოლოდ დიდი დაგვიანებით, იმ დროს, როდესაც დოლარი ღირს რამოდენიმე ასეული მილიარდი; თავის თავად ცხადია, რომ ბანკირი იხდის ოქროს სესხში ყიდვის დღეს ხელის მოწერის დღის კურსის მიხედვით.

რეიხსბანკი ღებულობს თავის 2,000 „გერმანულ დოლარზე" ქაღალდის მარკით იმდენს, რამდენიც ღირს მხოლოდ 200 დოლარი. ბანკირმა მოიგო 1,800 დოლარი, ხოლო რეიხსბანკმა დაჰკარგა ამდენივე. ასეთი ბოროტმოქმედება ხდება მუდამ, ყოველ კვირაში. ეხლა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობაა მაშინ, როდესაც ოქროს სესხის განაღდება ხდება ფაქტიური ყიდვის დღეს... „ამ სკანდალმა, სწერს სოციალ-დემოკრატების ორგანო, ბევრათ წინ გაუსწრო ქაღალდის მარკების კრედიტის სკანდალს"... ვხედავთ, რომ სკანდალები სულ უფრო და უფრო ფართე ხასიათს ღებულობენ.

მაგრამ იმის გამო, რომ ოქროს სესხს არ აქვს რეალური განაღდება, ის თანდათან გადაცვლილი იქნება სარენტო მარკებზე. ახალი საემისიო ბანკი—„რენტენ-მარკ-ბანკ"-ი აძლევს წელს სახელმწიფოს კრედიტს 900 მილიონის რაოდენობით, რაც სრულებით ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფოს რეალურ მოთხოვნილებებს.

თუ ოქროს სესხის 500 მილიონი დაფარული უნდა იქნეს ამ კრედიტებით, მაშ რაღა რჩება სახელმწიფოს? ოქროს სესხმა მას მისცა მხოლოდ ზარალი, სარენტო მარკა მისთვის უსარგებლოა. სახელმწიფო ფინანსები იქნება მსხვილი კაპიტალის ფინანსიური კონტროლის ქვეშ, ყოველგვარი სარგებლის მიუღებლათ.

აი მეორე კატასტროფიული მხარე შექმნილი მდგომარეობის. ნიუ-იორკის ბირჟის კურსი განსაზღვრავს რამოდენიმეთ ბერლინის შავი ბირჟის კურსს. 2 ნოემბრამდე დოლარი ნიუ-იორკში ღირდა 1428,57 მილიარდი მარკა. ამავე დღეს ბერლინში დოლარი და ოქროს სესხი ოფიციალურად ღირდა 625 მილიარდი. 3 ნოემბერს დოლარი ნიუ-იორკში ღირს 1219 მილიარდი, ხოლო ბერლინში მხოლოდ 418. ქაღალდის მარკის იძულებითი კურსი დეკრეტის მიხედვით უნდა უდრიდეს ოქროს 1 პფენინგზე 1 მილიარდს. გერმანია ხდება ისეთ სახელმწიფოდ, სადაც შესაძლებელია დოლარის ყველაზე უფრო იაფად ყიდვა. ცხადია, ამას გამოიყენებს თავის სასარგებლოთ საერთაშორისო სპეკულიაცია იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო ფართედ გამოაცალოს ხელიდან გერმანიას რეალურ ღირებულებათა უკანასკნელი ნაშთები.

ფასებს გერმანიაში განსაზღვრავს ნიუ-იორკის ბირჟა ისე, რომ დოლარის ხელოვნურათ დაცემა, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ საერთაშორისო სპეკულაციისათვის, ხდება მომხმარებელი მასების ხარჯზე.

ოქროს პფენინგის სყიდვითი უნარი საოცრად ეცემა. 1914 წელს ჭვავის პური ღირდა 14 ოქრო პფენინგი; 1923 წ. 21 დეკემბერს ღირდა 18; ბრინჯის ფასი 25-დან ავიდა 32 პფენინგამდე; მჟავე კომბოსტო—8-დან 13 პფენინგამდე; ლობიო—20-დან 38-დე; ძროხის ხორცი—85-დან 1.42 პფენინგამდე; ღორის ხორცი—75-დან 3.30 პფ., ქონი—95-დან 4.64 პფენინგამდე; ერბო—125-დან 181-დე; შაქარი—25-დან 40-დე; თევზი—30-დან 90-დე; კვერცხი 7-დან 19-დე; ნახშირი—100 დან 167,5 დე; ეს ციფრები ჩვენ საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ სიძვირეზე. ამის მოგონება სასარგებლოა განსაკუთრებით ამ მომენტში, როდესაც მუშების და მწარმოებლების წარმომადგენლები შრომის მინისტრის ბრაუნსის თავმჯდომარეობით არჩევენ საკითხს სამუშაო ხელფასის ოქროს ანგარიშზე გადატანის შესახებ. უცვლელი თვალსაზრისი მწარმოებლების მდგომარეობს იმაში, რომ სამუშაო ხელფასის ომამდე არსებულ ნორმის შემოღება შეუძლებელია; „ეხლანდელი სამუშაო ხელფასი უნდა ეფარდებოდეს საერთო გაღარიბებას". ბრაუნსი დასძენს რომ სამუშაო ხელფასის დარიგება რაიმე რეალური ღირებულებით შესაძლებელია მოხდეს „ნაწილობრივ და რამოდენიმე ხნის შემდეგ".

რ. ალბერტ.

ბერლინი, 10 ნოემბერი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

გერმანიის მთავრობა „ბრძოლის ველზე"

მასები აწარმოებენ შეტევას სოც.-დემ. ცეკას წინააღმდეგ

როგორ მიიღეს გაფართოებული უფლებები: მთავრობისადმი გაფართოებული უფლებების მინიჭების საკითხის განხილვის დროს, კომუნისტებმა გაილაშქრეს მთავრობის წინააღმდეგ.

რეიხსტაგში კომუნისტებმა განაცხადეს, რომ გერმანია განიცდის საშინელ სიღატაკეს, რომელსაც ხელს უწყობს მთავრობა.

სოციალ-დემოკრატია იშლება: გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო ურილობებს გამოაქვთ რეზოლიუციები ცენტრალური კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ.

მთავრობის წინააღმდეგ: ზოგიერთ ქალაქებში მოეწყო მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები.

რვა თუ ათი საათი?

სამუშაო დღე რურის ოლქში.

ბერლინი, 6 დეკ. ბოხუმში შესდგა რურის ოლქის პროფკავშირთა კონფერენცია, რომელმაც სოციალ-დემოკრატიულ ლიდერთა ძალდატანებით მოიწონა სამუშაო დღის გაგრძელება. კონფერენციამ მხოლოდ სურვილი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ მიღებულ იქნენ სამუშაოზე ყველა მუშები. კომუნისტები წინააღმდეგნი იყვნენ შეთანხმების მიღების.

იმედები მუშებისათვის სამუშაოს მიცემის შესახებ, დიუსელდორფის შეთანხმების თანახმად, სავსებით არ გამართლდა. სამთო-მადნო მრეწველობაში სამუშაოზე მიღებულ იქნა ხელახლა მუშების მცირე რაოდენობა. სამთო-მადნო წარმოებები დაკეტილი რჩება. მწარმოებლები განაგრძობენ მუშების დათხოვნას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინონ მუშებზე და განამტკიცონ მოთხოვნილება 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.

როგორ მიიღეს „გაფართოებული უფლებები"

მთავრობის უფლებების გაფართოების კანონ-პროექტის გარშემო.

ბერლინი. 6 დეკემბ. გადმოგვცემენ დაწვრილებით ამბებს, რომლებიც წინ უძღოდენ კანონ-პროექტის მიღებას მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით შეიდემანმა განაცხადა, რომ ფრაქცია ხმას მისცემს კანონ-პროექტს, თუმცადა ის არ ეთანხმება განზრახულ ზომებს. მაგრამ ის ეთანხმება მარქსის შეხედულებას, რომ ფინანსიური საკითხი წარმოადგენს გერმანიისათვის საარსებო საკითხს, შეიდემანმა აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატები იცავენ პარლამენტარიზმს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა მიიღებს კონსტიტუციის პარაგრაფს საგანგებო მდგომარეობის შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა პასუხისმგებელია კანონ-პროექტის საფუძველზე გამოცემულ განკარგულებებისათვის.

უკანასკნელი განცხადება მოწმობს იმას, თუ როგორ ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ სოციალ-დემოკრატები მათი ინიციატივით შექმნილ საპარლამენტო საკონტროლო კომისიას.

ცენტრი, სახალხო პარტია და დემოკრატები მიემხრენ კანონ-პროექტს. ნაციონალისტები უარჰყოფენ კანონ-პროექტს.

კანონ-პროექტის განხილვის დროს კომუნისტმა გელეინმა განაცხადა, რომ საქსონიაში და ტიურინგიაში სამხედრო ხელისუფლება მიმართავს პროლეტარიატის წინააღმდეგ ხორტის მეთოდებს, გერმანიის პროლეტარიატი დამშეულია, სამუშაო ხელფასი ეცემა, ბერლინში მუშები ღებულობენ მშვიდობიანობის დროინდელი სამუშაო ხელფასის მეექვსედ ნაწილს. ამავე დროს კაპიტალისტები ღებულობენ კოლოსალურ სარგებელს. რურის მრეწველებმა შეუწყვიტეს უმუშევრებს დახმარების მიცემა და განაცხადეს, რომ მათ არ აქვთ სათადარიგო კაპიტალი. ამასთან ერთად კრუპპი ხელში იგდებს რკინის გზების კოლოსალურ ქონებას, ხოლო სტინესი—ნავთის სამრეწველოებს მექსიკაში და ტეხასში. მრეწველები ხელოვნურად აფართოებენ უმუშევრობას, რათა დაითანხმონ მუშები 10 საათის სამუშაო დღეზე. სოციალ-დემოკრატები ჰილფერდინგი, ზოლმანი და რადბრუხი, რომლებიც შედიოდენ შტრეზემანის პირველი მთავრობის შემადგენლობაში, დახმარებას უწევდენ მრეწველებს 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებაში. სამთომადნო მუშათა პროფკავშირების სოციალ-დემოკრატიული ბელადები დათანხმდენ სამუშაო დღის გაგრძელებაზე. კარის წყალობით ბავარია გახდა უცხოეთის სახელმწიფოთ. დასასრულ გელეინი მოუწოდებს მუშებს, მოხელეებს და უმუშევრებს მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაციები ბურჟუაზიის სამხედრო დიქტატურის და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ და აწარმოონ თავგამოდებული ბრძოლა მოხელეების შტატების შემცირების და სამუშაო ხელფასის დაკლების წინააღმდეგ.

რეიხსტაგის სხდომა

რა საკითხები განიხილეს

ბერლინი. 7 დეკემ. (დასაწყისი არ არის მიღებული)... გადაშინჯულ იქნა ესპანეთთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება, შემდეგ უარყოფილ იქნა კომფრაქციის წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. შემდეგი კამათის დროს ფინანსთა მინისტრმა ლიუტერმა განაცხადა, რომ მთავრობა მიიღებს ყველა ზომებს, რომ შეაჩეროს ფასების შემდეგი ზრდა გერმანიაში. მთავრობას განზრახვა აქვს დააარსოს ბანკი, რომელიც გამოუშვებს ოქროთი უზრუნველყოფილ ბანკნოტებს. რენტენ-მარკების გამოშვების წყალობით, მოხდა პროდუქტების ფასების დაწევა და დაიწყო ფინანსიურ სისტემის გაჯანსაღება.

კანონ-პროექტს მთავრობის საგანგებო უფლებების გაფართოების შესახებ ხმა მისცა 282 დეპუტატმა 79 წინააღმდეგ (უკიდურესი მემარჯვენეები და უკიდურესი მემარცხენეები). ცენტრის პარტიებმა წინადადება შეიტანეს გადადებულ იქნეს საბოლოო კენჭისყრა შაბათისათვის იმის გამო, რომ საეჭვოა ნაციონალისტების პოზიცია. კენჭისყრის შემდეგ ეს წინადადება მიღებულ იქნა.

მთავრობის უფლებების გაფართოება

საგანგებო უფლებები.

პარიზი. 6 დეკემბ. რეიხსტაგმა პირველ და მეორე წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონ-პროექტი მთავრობისათვის საგანგებო უფლებების მინიჭების შესახებ, დამატებით, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის თანამშრომლობას საფრაქციათაშორისო კომისიასთან.

ბერლინი. 6 დეკემბ. უხუცესთა საბჭომ დაადგინა დანიშნოს საგანგებო უფლებების კანონ-პროექტის მესამედ წაკითხვა რეიხსტაგში ხუთშაბათისათვის, როდესაც მოხდება კენჭისყრაც.

პარტიების გამოსვლა.

ბერლინი. 6 დეკემბ. საგანგებო უფლებების კანონ-პროექტის კითხვის დროს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით შეიდემანმა განაცხადა, რომ პარტია თანახმაა გატარებულ იქნეს კანონი საგანგებო უფლებების შესახებ, თუ დაცული იქნება რეიხსტაგის უფლებების ხელუხლებლობა. ცენტრის წარმომადგენელმა გაასმა განაცხადა, რომ მთავრობას შეუძლია იმედი იქონიოს ცენტრის დახმარების.

პარიზი. 6 დეკემბ. რეიხსტაგში საგანგებო უფლებების კანონის განხილვის დროს შტრეზემანმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები პასუხისმგებლობას აკისრებენ მთავრობას მათ მიერ უკვე მიღებულ ზომებისათვის. ცენტრის სახელით გაასი მოითხოვს გერმანიის და მოკავშირეების ურთიერთობის გადასინჯვას. გერგტმა ნაციონალისტების სახელით შეიტანა წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, რომელიც წააგავს შტრეზემანის კაბინეტის წინააღმდეგ შეტანილ წინადადებას. დემოკრატი გაასე მოითხოვდა სახელმწიფოს ფინანსიური სუვერენიტეტის აღდგენას.

კომუნისტების გამოსვლა.

პარიზი. 6 დეკემბ. კომფრაქციამ შეიტანა წინადადება კაბინეტისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ამხ. გელეინმა გაილაშქრა კრუპპის და სტინესის წინააღმდეგ, რომლებიც ყვლეფენ მუშებს და მუშების ფულით იძენენ წარმოებებს მექსიკაში და შეერთებულ შტატებში.

მთავრობის წინააღმდეგ

უმუშევართა დემონსტრაცია.

ბერლინი. 7 დეკემბერი. კელნში იმართება უმუშევართა დემონსტრაციები, რომლის დროს ადგილი აქვს დუქნების დარბევას.

რკინისგზელთა პროტესტი.

პარიზი. 7 დეკემბ. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, რკინისგზელებმა მიმართეს რეიხსტაგს პროტესტით რკინისგზელთა და სახელმწიფო მოხელეთა შტატის შემცირების წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატია იშლება

რეინის სოციალ-დემოკრატებს შორის.

ბერლინი. 6 დეკემბერი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რეინის კონფერენციაზე ოპოზიციამ გაიმარჯვა. კონფერენციამ დაგმო პარტიის ც. კ.-ის და რეიხსტაგის ფრაქციის კოალიციონური პოლიტიკა, საქსონია-ტიურინგიის წინააღმდეგ გამოსვლა და დათმობითი პოლიტიკა ბავარიის მიმართ.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ბავარიის კაბინეტის კრიზისი.

პარიზი. 7 დეკემბერი. მიუნხენიდან იუწყებიან ბავარიის კაბინეტის მოსალოდნელ გადადგომის შესახებ.

დახმარება გერმანიის დამშეულთ.

ნიუ-იორკი. 6 დეკემბერი. ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს იმ კრედიტებში, რომელთა დანიშნულებაა დახმარების გაწევა გერმანიის დამშეულთათვის. ამ მიზნისათვის საჭირო 70 მილ. დოლარიდან ნახევარს გაიღებენ ინგლისის, მეორე ნახევარს კი ამერიკის ბანკები, რომელთაც დახმარებას გაუწევს მთავრობა.

ოკუპაცია სუსტდება.

ბერლინი. 7 დეკემბერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პუანკარე, ბრიტანეთის ელჩთან ხელახალი თათბირის შემდეგ პარიზში, დასთანხმდა რურში საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების ხუთი მექვსედით შემცირებაზე. ამჟამად საოკუპაციო ნაწილების რიცხვი უდრის 60.000 კაცს.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჩეხო-სლოვაკია.

რუსეთის საკითხი.

პრაგა. 6 დეკემბერი, ჩეხო-სლოვაკიის პრესა ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირთან დაახლოვების ნიშნებს, განსაკუთრებით იტალია-რუსეთის დაახლოვებას, რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკებას და სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ მოღვაწეების კამპანიას საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის განახლების სასარგებლოთ. ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელ სოციალისტების გაზეთი ხაზს უსვამს, რომ რუსეთის საკითხი არის ერთი უმთავრესი საკითხთაგანი მცირე ანტანტის სახელმწიფოების მომავალ კონფერენციაზე იანვარში და აღნიშნავს, რომ მცირე ანტანტა დაინტერესებულია იმაში, რათა არ ჩამორჩეს სხვა სახელმწიფოებს და განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ნაციონალ-სოციალისტების გაზეთი „ჩეხეთის სიტყვა" აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ დამოკიდებულებაში მოხდა გარდატეხა. კერძოთ რუმინეთს სურს იქონიოს საბჭოთა რუსეთთან კეთილ-მეზობლური განწყობილება. მემარცხენე ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი კი ესალმება მუსოლინის განზრახვას იცნოს საბჭოთა რუსეთი, და ხაზს უსვამს, რომ ჩეხოსლოვაკია დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს რუსეთის მიმართ, მაგრამ როგორც მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს, მას არ აქვს საკუთარი ინიციატივის უნარი.

იაპონია.

საბჭოთა კავშირის დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულებს.

პეკინი, 6 დეკემბერი. ამხ. კარახანმა გაუგზავნა იაპონიის წარმომადგენელს ჩინეთში ნოტა, რომელშიაც აცნობებს მას, რომ საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა დახმარება აღმოუჩინოს იაპონიაში მომხდარ მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს.

ამხ. კარახანი სთხოვს იაპონიის წარმომადგენელს ფართო საზოგადოებას აცნობოს ეს დადგენილება და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჭიროა გაიგზავნოს იაპონიაში რუსეთის სპეციალური წარმომადგენელი დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ამხ. კარახანი აქცევს იაპონიის მთავრობის ყურადღებას, რომ დახმარება აღმოჩენილი იქნება ყველასათვის, რომლებიც ნამდვილად დაზარალდენ მიწისძვრისაგან.

ინგლისს ეშინია.

ლონდონი, 6 დეკემბერი „მანჩესტერ გარდიენ"-ი ბეჭდავს თავის რუსეთელ კორესპონდენტის წერილს, რომელშიაც აღნიშნულია საფრანგეთისა და იტალიის სურვილი დაუახლოვდენ რუსეთის ბაზარს და ამით ჩამოაშორონ მას ინგლისი. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დამოკიდებულებათა აღდგენა ინგლისსა და რუსეთს შორის ნიადაგს მოამზადებს იმისათვის, რომ საბჭოთა მთავრობამ იცნოს თავისი ვალები და გაისტუმროს ისინი.

ჩინეთი.

რუსეთ-ჩინეთის კონფერენცია.

პეკინი, 6 დეკემბერი. კარახანთან მოლაპარაკებისათვის დანიშნულმა ჩინეთის წარმომადგენელმა ვან-ჩენ-ტინგმა იაპონიაში გამგზავრების წინ გაუგზავნა ამხ. კარახანს წერილი, რომელშიაც იმედს გამოსთქვამს, რომ იაპონიიდან მისი დაბრუნების შემდეგ ამხ. კარახანი დანიშნავს ვადას რუსეთ-ჩინეთის კონფერენციის ოფიციალურ გახსნისათვის.

საპასუხო წერილში ამხ. კარახანმა აღნიშნა, რომ მან უკვე გამოსთქვა აზრი კონფერენციის გახსნის შესახებ, რომელიც, მისი წინადადებით, უნდა მომხდარიყო პეკინში კარახანის დაბრუნებისთანავე. მაგრამ კონფერენციის გახსნა გაჭიანურდა, რადგან ჩინეთმა აქამდე ვერ მოაგვარა ნორმალური დიპლომატიური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. ამხ. კარახანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მოითხოვს რუსეთ-ჩინეთის ნორმალურ დამოკიდებულების დაწესებას უახლოეს მომავალში, რის შემდეგ იგი მზათ იქნება დაუყოვნებლივ მიიღოს მონაწილეობა რუსეთ-ჩინეთის კონფერენციის მუშაობაში.

კომუნისტების დევნა

ფინეთი

კომუნისტებს არ აძლევენ საზღვარგარეთის პასპორტებს

ჰელსინგფორსი. 6 დეკემ. შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა გუბერნატორებს არ მისცენ საზღვარგარეთის პასპორტები კომუნისტებს, რომელნიც ს. ს. რ. კ. მიემგზავრებიან.

შვეცია

ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.

სტოკჰოლმი. 6 დეკემბ. კონსერვატიული გაზეთი „დაგბლადეტ"-ი ბრალსა სდებს ფინეთიდან ჩრდილოეთ შვეციაში გაქცეულ კომუნისტ ნიულანდს პროპაგანდის გაწევაში. ამ საქმის გამო დანიშნულია გამოძიება.

ინგლისი ახალი არჩევნების წინ

საარჩევნო კამპანიისათვის.

ლონდონი. 6 დეკემბერი. ფართო მასები კონსერვატორების წინააღმდეგ არიან განწყობილნი. ცნობილი კონსერვატორი ჩემბერლენი პირველათ მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში იძულებული იყო დაეტოვებია საარჩევნო კრება იმის გამო, რომ აუდიტორიამ არ მოისურვა მისი მოსმენა. გარეშე საქმეთა მინისტრის მოგვარე კერზონს, რომელიც გამოცხადდა საარჩევნო კრებაზე შეიარაღებულ მცველთა თანხლებით, აუდიტორია აღშფოთების ხმებით შეხვდა.

მუშათა პარტიის წრეებში განწყობილება მტკიცეა. მუშათა პარტია დარწმუნებულია, რომ არჩევნებს შედეგათ მოყვება მუშათა პარტიის წარმომადგენელთა რიცხვის გადიდება პარლამენტში.

არჩევნები ლონდონში.

პარიზი. 7 დეკემბერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, არჩევნების შედეგები ასეთია: არჩეულია კონსერვატორები—24, ლიბერალები—12, მუშათა პარტიის წარმომადგენლები—1. დამოუკიდებლებმა და კონსერვატორებმა დაკარგეს 5 ადგილი.

საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

დღის წესრიგი:

1. მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება: ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
3. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.
4. საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.
5. საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.
6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
7. მოხსენება მაზრების რაიონებათ დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების განმარტივების შესახებ.
8. მოხსენება ქართული ლაშქრის შესახებ.
9. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
10. ს. ს. ცაკის არჩევნები.
11. ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

საქარ. ცაკის მდივანი **ჰ. საბაშვილი.**

ბულგარეთის ამბები

პრესის დევნა.

ვენა, 5 დეკემბერი. სოფიაში დახურეს დამოუკიდებელი მუშათა გაზეთი „სხივი", რომელმაც ერთი თვის წინეთ დაიწყო გამოსვლა.

გლეხების დასჯა.

ვენა, 6 დეკემბერი. სამხედრო სასამართლომ გარნაში (ბულგარეთ) 24 გლეხს, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ ცანკოვის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში, მიუსაჯა ციხეში დამწყვდევა 3—7 წლის ვადით.

ბულგარეთის გლეხურ პარტიაში.

ვენა, 6 დეკემბერი. ბულგარეთის გლეხურ პარტიაში არსებობს სამი მიმდინარეობა: პარტიის მემარცხენე ფრთა მომხრეა კომუნისტებთან თანამშრომლობის, ცენტრი მოითხოვს კომუნისტებთან კავშირის გაწყვეტას და დამოუკიდებელ ტაქტიკის გატარებას პარლამენტში ლეგალურ ოპოზიციის საფუძველზე, მემარჯვენე ფრთა კი წინააღმდეგია ცენტრის და მას მეტად რადიკალურად სთვლის. სოფიაში შესდგა გლეხთა პარტიული ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო ცენტრის ბელადების ინიციატივით. ყრილობის მიერ არჩეული პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს მხოლოდ ლეგალურ მუშაობის წარმოებას.

საარჩევნო კამპანია ინდოეთში

ვის რამდენი დეპუტატი ეყოლება.

ლონდონი, 6 დეკემ. „ტაიმს"-ის კალკუტის კორესპონდენტის ცნობების თანახმათ, ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს არჩევნებში არა მარტო ბომბეის, არამედ ბენგალიის პროვინციაშიც. 113 დეპუტატიდან 60 მეტი ნაციონალისტებია. კორესპონდენტების ცნობების თანახმათ, ნაციონალისტები მიიღებენ უმრავლესობას აგრეთვე ცენტრალურ პროვინციებშიც.

ნაციონალისტებს განზრახვა აქვთ საკანონმდებლო კრების სესიის გახსნის შემდეგ ინდოეთის ვიცე-კოროლის საშუალებით წაუყენონ ინგლისის პარლამენტს ზოგიერთი მოთხოვნილებანი. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნილებანი უარყოფილი იქნება, მაშინ ნაციონალისტები წინააღმდეგობას გაუწევენ ინდოეთის მთავრობის ყველა ღონისძიებებს.

სხვადასხვა

შეერთებული შტატები

პარტიული ბრძოლა.

ბერლინი. 6 დეკემბერი. შეერთებულ შტატების წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობის გარშემო იბრძვის 4 პარტია. არჩევნებს ჯერ-ჯერობით არ მოუცია დადებითი შედეგები. ყველაზე მეტი ხმები მიიღო რესპუბლიკანელმა ჯილლეტმა (198), შემდეგ დემოკრატმა გარრეტმა (195), რადიკალმა კუპერმა (17 ხმ) და შტატ ილლინოის უპარტიო დეპუტატმა მედდენმა (5 ხმა).

ოსმალეთი

კომუნისტების გადასახლება.

ანგორა. 5 დეკემბ. სტამბოლში ჩაიყვანეს 6 გერმანელი, რომელნიც ანდრიანოპოლში სცხოვრობდენ, და 2 ბულგარელი; მათ ბრალდებათ კომუნისტური პროპაგანდის გაწევა. ყველა ისინი გადასახლებულნი არიან ოსმალეთის საზღვრებიდან.

ჩეხო-სლოვაკია

საჰაერო ფლოტის გადიდება.

ბერლინი. 7 დეკ. ჩეხო-სლოვაკიის სამხედრო მინისტრი სთხოვს პარლამენტს კრედიტს სამხედრო ჰაეროპლანთა რიცხვის გასადიდებლათ 3,000-დე.

იტალია

მუსოლინი მუშტით ემუქრება სტუდენტებს.

პარიზი. 7 დეკ. რომის და ნეაპოლის უნივერსიტეტების სტუდენტებმა პროტესტი განაცხადეს სწავლების სისტემის რეფორმის წინააღმდეგ. მუსოლინიმ განაცხადა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები გამართავენ ახალ დემონსტრაციებს, ის დახურავს ყველა უნივერსიტეტებს.

ფინეთი

ფინეთის ფაშისტები.

ჰელსინგფორსი. 5 დეკემბ. ჰელსინგფორსის მუნიციპალიტეტმა, მემარცხენე ხმოსნების პროტესტის მიუხედავათ, გაუდიდა ასიგნობა ეგრედ წოდებულ „შიუდსკორებს" (ფინეთის ფაშისტებს) 200.000 ფინურ მარკიდან 1 მილიონ მარკამდე. ეს დადგენილება დადასტურებული უნდა იქნეს ხმოსანთა ორი მესამედის უმრავლესობით.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ლიტვა

მბეჭდავების გაფიცვა.

კოვნო. 6 დეკემბერი. კოვნოში გაიფიცენ მბეჭდავები, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას 33 პროცენტით. გაზეთები არ გამოდის.

დანია

უმუშევრობა.

კოპენჰაგენი. 6 დეკემბერი. დანიაში უმუშევრობა ფართო ხასიათს ღებულობს; უკანასკნელი კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი გადიდდა 6,000 კაცით. სულ დანიაში ირიცხება 36,600 უმუშევარი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

პოეტ ბრიუსოვის იუბილე

მოსკოვი. 7 დეკემბერი. პოეტ ბრიუსოვის დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო, საიუბილეო კომიტეტმა აღძრა განათლების სახ. კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა იუბილიარისათვის რესპუბლიკის დამსახურებულ პოეტის სახელწოდების ბოძების შესახებ. სამხატვრო აკადემია და მეცნიერულ-ლიტერატურული ორგანიზაციები მართავენ საპატივცემულო სხდომას ბრიუსოვის შემოქმედების აღსანიშნავად. დიდ აკადემიურ თეატრში შესდგება საზეიმო სხდომა ამხ. ლუნაჩარსკის მონაწილეობით.

ახალგაზრდათა კომკავშირის ზრდა.

მოსკოვი 7 დეკემბერი. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე აღნიშნული იყო ახალგაზრდათა კომკავშირის წარმატება ლონდონში და ჩრდილოეთ შოტლანდიაში. გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირმა, რომელიც იძულებულია არალეგალურათ იმუშაოს, გააძლიერა თავისი მოღვაწეობა. რეინის ოლქში ახალგაზრდათა კომკავშირი განაგრძობს აქტიურ მუშაობას.

1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავისათვის.

მოსკოვი. 7 დეკემბერი. პარტიის ისტორიის დამმუშავებელმა კომისიამ დაადგინა 1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავის მომზადების მიზნით დაუყოვნებლივ შეუდგეს 1905 წლის გაზეთების „წინ" და „პროლეტარი"-ს სრულ გამოცემას. ამ გაზეთებში ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ამხ. ლენინი. კომისიამ დაადგინა აგრეთვე გამოსცეს დამატებით მე-3 პარტიულ ყრილობის ოქმის სრული ორიგინალი და ეთხოვოს ლენინის სახელობის ინსტიტუტს მეორეთ გამოსცეს ახალი დამატებითი ამხ. ლენინის ნაწერები, რომელნიც 1905 წელს ეკუთვნიან, დაევალოს ამხ. ნევსკის მოამზადოს 1905 წლის ისტორია, გამოსცეს წიგნი „1905 წელი პოეზიაში და ბელეტრისტიკაში" და აგრეთვე პარტიულ რევოლიუციონურ მოღვაწეთა ალბომი.

დონის აუზის მუშათა შორის.

ბახმუტი. 7 დეკემბერი. საგუბერნიო კომიტეტის პლენუმში მოსმენილ იქნა რუსეთის კომპარტიის ცეკას და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელთა მოხსენება; მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ დონის პროფორგანიზაციები ძალიან მტკიცენი არიან თავისი პროლეტარული შემადგენლობით. მაგრამ პარტიული ორგანიზაციები არ არიან საკმაოდ ძლიერნი. მთელ რიგ საწარმოვო იაჩეიკებში კომუნისტების რიცხვი არ არის დიდი, ზოგიერთ მაღაროებში 1000 მუშაზე მოდის 1 კომუნისტი. საჭიროა მასებთან კავშირის გაძლიერება. ორგანიზაციის ნაკლთა შორის შენიშნულია —სუსტი ანტისარწმუნოებრივი მუშაობა, მიუხედავათ იმისა, რომ მუშათა შორის ძლიერი ანტისარწმუნოებრივი მიმდინარეობა არსებობს. საჭიროა ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერება.

ბელინსკის ხსოვნის აღსანიშნავად.

მოსკოვი. 7 დეკემ. ბელინსკის ხსოვნის აღსანიშნავად განზრახულ ზეიმის მომწყობი კომიტეტი, ბელინსკის გარდაცვალებიდან 75 წლის თავზე აწყობს გამოფენას, სცემს კრებულს—„ბელინსკის გვირგვინს". და აგრეთვე მისი თხზულებების 12 ტომს, რომელშიაც შევა ბელინსკის 70 ახლად აღმოჩენილი წერილი, რეცენზია და შენიშვნა.

საბჭოთა ყრილობები

საკავშირო საბჭოთა მე-2 ყრილობა.

მოსკოვი, 6 დეკემბერი. საკავშირო ცაკმა დაადგინა მოიწვიოს საკავშირო რესპუბლიკების საბჭოთა მეორე ყრილობა 20 იანვრისათვის. დღის წესრიგი: საკავშირო ცაკ-ის და სახ. კომ. საბჭოს მოხსენება, ს.ს. რ. კავშირის კონსტიტუციის დამტკიცება, თანახმად პირველ ყრილობის დადგენილებისა, დებულება მრეწველობის ორგანიზაციის შესახებ, ს. ს. რ. კავშირის ბიუჯეტი, ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსება, ს. ს. რ. კავშირის ცაკ-ის შექმნა, საკავშირო საბჭოს არჩევნები, ეროვნებათა საბჭოს დამტკიცება.

სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-11 ყრილობა.

მოსკოვი, 7 დეკემბერი. სრულიათ რუსეთის ცაკმა დაადგინა მოიწვიოს 16 იანვრისთვის სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-11 ყრილობა. დღის წესრიგი: სრულიათ რუსეთის ცაკ-ის მოხსენება, რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება, შრომის დაცვის და ხელფასის საკითხები, ფინანსთა სახალხო კომისრის მოხსენება რ. ს. ფ ს. რ-ის ბიუჯეტის შესახებ და სრ. რუსეთის ცაკ-ის ახალი არჩევნები.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობა ევროპასთან

ვაჭრობის სახე

მოსკოვი. 7 დეკემბერი. რომიდან მოსკოვში ჩამოვიდა საკავშირო კავშირის წარმომადგენელი რუსეთ-იტალიის მოლაპარაკებაში, ამხ. იანსენი, რომელმაც მოხსენება გაუკეთა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარს რუსეთ-იტალიის სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ.

— საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. გონეცკი სამსახურის საქმეების გამო გაემგზავრა გერმანიაში და ინგლისში.

— პეტროგრადის ქერელის („პენკა") ტრესტმა გაგზავნა ინგლისში 1000 ფუთი გაფისული თოკისა, რომელიც გაყიდულ იქნა „არკოს"-ის შუამავლობით. ტრესტმა მიიღო რამოდენიმე შეკვეთა გაფისულ თოკზე გერმანიის, ნორვეგიის და ლატვიისაგან. „არკოს"-ი მოლაპარაკებას აწარმოებს, აგრეთვე, კონსტანტინოპოლის ფირმებთან პეტროგრადის თოკის მიწოდების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 5 დეკემბერი. 30 ნოემბერს ბაქოს ყველა სამრეწველოებში ამოუღიათ სულ 2053000 ფ. ნავთი. გამოსახდელად მიუშვიათ 708,000 ფ. გამოხდილი დაბრუნებულია 698,000 ფუთი. დაწმენდილია 143,000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა საშუალოდ 179 დაზგა. ჩასაბურღავათ 311 საჟენი.

ნავთის ამოღება ნოემბერში.

ბაქო. 5 დეკემბერი. ნოემბრის განმავლობაში ყველა სამრეწველოებზე ამოუღიათ სულ 21,019,000 ფუთი ნავთი. აქედან შინამრეწველობის წესით 617,000 ფ. საერთოდ ნოემბერში ამოუღიათ 519.000 ფუთით მეტი ოქტომბერთან შედარებით წინასწარი ცნობების მიხედვით, ნოემბერში ჩაბურღულია სულ 3.788 საჟენი.

მგლები და ტურები.

ბაქო. 6 დეკემბ. დადგა ზამთარი და გოგჩის მაზრის მთიან ადგილებში აუარებელი მგლები და ტურები გაჩნდა, რომლებიც დიდ ონავრობას ეწევიან და აზარალებენ მესაქონლეებს. განზრახულია საცდელად მოეწყოს მონადირეთა რაზმები მათს გასაწყვეტად.

თამბაქოს ტრესტი

ბაქო. 6 დეკემბერი. აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტმა ოქტომბრის განმავლობაში დაამუშავა 4.835 გირვანქა თამბაქო და დაამზადა 21.973,000 ცალი პაპიროსი.

სტიპენდია.

ბაქო. 7 დეკემბერი. აზერბეიჯანის კავშირის ხარჯზე აზერბეიჯანისა და რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში იზრდება 28 სტიპენდიანტი.

სიფილისი.

ალდაში. 7 დეკემბერი. ალდაშის მაზრის მე-2 რაიონში საშინლად მძვინვარებს სიფილისი, რომელიც თითქმის მთელს რაიონს მოედო.

თურქების საქალებო სკოლა.

ბაქო. 7 დეკემბერი. ბაქოს სახალხო განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს იანვარში გახსნას ერთი სკოლა თურქი ქალებისათვის სადაც ისწავლის 400 სული.

ნარზანი.

ბაქო. 7 დეკემბერი. შამხორის მაზრის, სოფ. სლავიანკაში აღმოაჩინეს მადნეული წყალი—ნარზანი. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი შუამდგომლობს, რომ იქ გაიხსნას კურორტი. ამ მაზრის მთიან ადგილებში სამკურნალო [illegible] აღმოაჩინეს.

„ბაქოს მუშის" მე-1000 ნომერი

საზეიმო კრება

ბაქო. 6 დეკემბერი. 3 დეკემბერს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა საზეიმო კრება გაზეთ „ბაქოს მუშის" მე-1000 ნომერის გამოცემის აღსანიშნავად. კრება გახსნა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კონუშკინმა; აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს და სამთომადნო მუშების კავშირის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ნიკიშინმა. ამხ. მირზოიანმა აღნიშნა გაზეთის დამსახურება ბაქოს პროლეტარიატის გაერთიანებისა და აღზრდის საქმეში და აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის სახელით გადასცა „ბაქოს მუშა"-ს წითელი დროშა. დროშის გადაცემის დროს ისმოდა ინტერნაციონალის ხმები და მქუხარე აპლოდისმენტები. აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასკომის სახელით გამოვიდა ამხ. კასუმოვი; მან აღნიშნა გაზეთის მნიშვნელობა და მისი მუშაობა დღიდან მისი დაარსებისა და აცნობა კრებას იმის შესახებ, რომ აზერბეიჯანის ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა დაასაჩუქროს „ბაქოს მუშა" წითელი დროშის ორდენით. საპასუხო სიტყვაში „ბაქოს მუშის" რედაქტორმა ამხ. ჩაგინმა რედაქციისა და ყველა თანამშრომლების სახელით განაცხადა, რომ „ბაქოს მუშა" მტკიცეთ იდგება მომავალშიც ბაქოს პროლეტარიატის რევოლიუციონურ მონაპოვართა სადარაჯოზე. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს თურქულ და სომხურ გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორების, წითელი არმიის და სხვათა წარმომადგენლებმა. კრება აღფრთოვანებით შეხვდა წინადადებას იმის შესახებ, რომ ერთერთ ნავთის სარეწავს დაერქვას „ბაქოს მუშის" სახელი. დასასრულ გამოვიდა ამხ. კიროვი, რომელმაც მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა პრესის მნიშვნელობისა და „ბაქოს მუშის" უდიდეს დამსახურების შესახებ; სიტყვის გათავების შემდეგ ამხ. კიროვი არჩეულ იქნა გაზეთის საპატიო თანამშრომლად მუშკორად. გაზეთის უძველეს მუშაკებს, შრომის გმირებს ამხ. ამხ. სულტანიანს, პორმოვსკის, მოლოტოვს რიხტერს, ტიულკოვს, ვიხერტს, ვერნერს, რომისს, ლეგატუხინს, ლისიაკს, კაჩურინს, ჩიკარევს, შეგოლევს და იაკოვლევს მიეცათ განსაკუთრებული საიუბილეო ნიშნები. დასასრულ კრებამ ოვაციები გაუმართა გაზეთის რედაქტორს ამხ. ჩაგინს.

აჭარისტანის საბჭოთა მეოთხე ყრილობა

ყრილობის გახსნა

30 ნოემბერს აკადემიურ თეატრის (ყოფ. შმაევსკის) დარბაზში, საღამოს 6 საათზე გაიხსნა აჭარისტანის საბჭოთა მეოთხე ყრილობა.

ყრილობას ხსნის ცენტრალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ოსმან მოწყობილი, რომელიც ესალმება ყრილობას და ამბობს, რომ კომპარტიამ შესძლო აჭარისტანის ფუხარა ხალხის გამოღვიძება და საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში ჩაბმა. ყრილობამ უნდა მოისმინოს მისი ორგანოების ერთი წლის ნამუშევარი ანგარიში, გამონახოს მომავალი მუშაობის გეზი და სათანადო დირექტივები მისცეს ორგანოებს.

მისალმებანი.

თავმჯდომარე აქვეყნებს საქარ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გეგეჭკორის დეპეშას: „მხურვალე სალამს ვუგზავნი აჭარისტანის საბჭოთა მეოთხე ყრილობას. გულწრფელად ვიზიარებ მის ზეიმს. მწამს, რომ მისი მუშაობა იქნება მიმართული საბჭოთა წყობილების დიადი მიზნის, აჭარისტანის და საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისაკენ. ვწუხვარ, რომ საშუალება არ მაქვს პირადათ დაესწრო ყრილობას და მივიღო მონაწილეობა მის ნაყოფიერ მუშაობაში."

შემდეგ მოსმენილ იქნა საქართველოს კომპარტიის ცეკას, ბათომის საოლქო კომიტეტის, ახკომკავშირის, პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციათა მისალმებანი.

ამხ. ბოგდანოვი მიესალმა ყრილობას წითელი არმიის სახელით და უსურვა წარმატებითი მუშაობა.

მაზრის წარმომადგენელთა მისალმე-

ცვების შემდეგ, ყრილობა გადავიდა პრეზიდიუმის არჩევნებზე.

პრეზიდიუმი.

კომფრაქციის წინადადებით, პრეზიდიუმი არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. თახსიმ ხიმშიაშვილი, ოსმან მოწყობილი, ნ. სვანიძე, აბალაძე, ლორთქიფანიძე, ბოგდანოვი, აკოპოვი, ცენტერაძე, რამიშვილი, შაი ბოლქვაძე, ბარამიძე, ჩარ-ოღლი, ამირაძი, ბერბერაშვილი, რ. თავდგირიძე, ქავთარაძე, მეტონიძე, გოგიბერიძე და სურმანიძე.

საპატიო თავმჯდომარეებათ: ამხ. ლენინი, ტროცკი, სტალინი, ორჯონიკიძე, კალინინი, ცხაკაია, მიასნიკოვი, ორახელაშვილი, ლომინაძე და ელიავა.

სამდივნოში: ამხ. ბუბია, მახარაძე და ბელოვი.

ყრილობის მისალმებანი.

ყრილობამ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა: საკავშირო, ამიერ-კავკასიის და საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტებს, რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცეკას, ამხ. ტროცკის, სტალინს და ელიავას.

დღის წესრიგი:

სამანდატო კომისიის არჩევნების შემდეგ, ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1. საერთაშორისო მდგომარეობა, 2. სახალხო კომისართა საბჭოს და ცაკის მუშაობის წლიური ანგარიში, 3. ცალკე კომისარიატების მოხსენება: ა) მიწათმოქმედების, ბ) განათლების, გ) შინაგან-საქმეთა, დ) ჯანმრთელობის, ე) სოციალურ უზრუნველყოფის, ვ) იუსტიციის, კ) კომუნალური მეურნეობის და ზ) სახელმწიფო აღმშენებლობითი კომიტეტის. 4. საკავშირო ცაკის მესამე სესიის მუშაობა, 5. აჭარისტანის მეურნეობის მდგომარეობა, 6) ცენტრალურ აღმასკომის არჩევნები, 7) დელეგატების არჩევა საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე, 8) მიმდინარე საკითხები.

მეორე დღე.

ყრილობის მეორე დღეს ჩამოვიდნენ ამხ ორჯონიკიძე და ლომინაძე ამხ. ორჯონიკიძე მიესალმა ყრილობას საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის სახელით. მან აღნიშნა ის მნიშვნელობა, რომელსაც წარმოადგენს პატარა აჭარისტანი, სადაც ერთი მეორეზე გადაბმულია ეროვნული, რელიგიოზური და კლასობრივი ინტერესები.

ამხ. ორჯონიკიძის და ლომინაძის გამოსვლას ყრილობა დიდი აღტაცებით შეხვდა

აჭარის ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის და სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა

ბათომი, 6 დეკემბერი. 5 დეკემბერს შესდგა აჭარის ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასკომის პლენუმი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხანაგი მოწყობილი. მდივნათ—გოგიბერიძე. პრეზიდიუმის წევრებათ: ამხ. ამხ. ხიმშიაშვილი, ბარამიძე, ჩალ-ოღლი, გოგობერიძე, ლორთქიფანიძე, რამიშვილი, სვანიძე, ბერბერაშვილი, ბოგდანოვი და ქავთარაძე.

აჭარის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში შევიდენ: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ქავთარაძე, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი ლორთქიფანიძე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ბოლქვაძე, იუსტიციის სახალხო კომისარი ჩალ-ოღლი, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი დემეტრაძე, განათლების სახალხო კომისარი ბარშანიძე, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული თავდგირიძე, შრომის სახალხო კომისარი ბრეგიძე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ჯიქია, სამხედრო კომისარი ბელოვი, კომუნალურ მეურნეობის გამგე რამიშვილი.

სომხეთის საბჭოთა მესამე ყრილობა

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა.

ერევანი. 7 დეკემბერი. საბჭოთა ყრილობის მესამე სხდომის დასაწყისში ყრილობის თავმჯდომარემ ამხ. აშოტ ოჰანესიანმა გამოაცხადა, რომ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ტფილისიდან ჩამოვიდა ამიერკავკასიის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ორახელაშვილი. ყრილობა მქუხარე ტაშით ეგებება ამიერკავკასიის სახ. კომისართა თავმჯდომარეს.

„ამხანაგებო, იწყებს თავის სიტყვას ამხ. ორახელაშვილი, ერთი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა ჩვენ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება აუცილებელი ყოფილა. პროლეტარული ხელისუფლება ანთავისუფლებს ეკონომიურად და აძლევს განვითარების ფართო გზას ეროვნულ კულტურას. გაერთიანების შემდეგ, ჩვენ ჩქარა დავაშუშებთ ჩვენს ჭრილობას და ავაღორძინებთ დანგრეულ მეურნეობას. ჩვენი კავშირი დღეს იმდენად ძლიერი გახდა, რომ ვერავინ ვერ გაბედავს ჩვენს შეშინებას. ამიერკავკასიის ხალხები აღარ ახრჩობენ ერთმანერთს, როგორც ეს წინად ხდებოდა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებამ დაამყარა ეროვნული მშვიდობიანობა. ჩვენი რესპუბლიკების კავშირი ძალიან მტკიცეა და ურყევი. (ტაში). ჩვენი კავშირი არ დასჩაგრავს არც ერთ ეროვნებას. ჩვენი მტრები სცდილობენ თავს დაესხენ ჩვენს სუსტ ადგილებს, მაგრამ იმათ გაიგეს, რომ ჩვენი კავშირი და მუშტი იმდენად ძლიერია, რომ შესძლებს რევოლიუციის მტრების განადგურებას". (მქუხარე ტაში).

ყრილობა ესალმება ამიერკავკასიის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს.

ყრილობის სახელით თავმჯდომარე ესალმება ამხ. ორახელაშვილის სახით ამიერკავკასიის მუშათა კლასს. „ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღდგენის დროს, ლაპარაკობს ორატორი, ამიერკავკასიის პროლეტარიატმა დახმარება გაგვიწია ჩვენ და ამ დახმარებას არასოდეს არ დაივიწყებენ სომხეთის მუშები და გლეხები".

ამხ. მიასნიკოვის სიტყვა.

ტრიბუნაზე ადის ამხ. მიასნიკოვი. ყრილობა ფეხზე ადგომით უმართავს მას მქუხარე ოვაციებს.

„ამ სამი წლის განმავლობაში სომხეთის მშრომელებს შეეძლოთ ეცხოვრათ, როგორც სოციალისტურ რესპუბლიკაში. ჩვენი მოწინააღმდეგენი და პირველ ყოვლისა დაშნაკელები იხრწნებიან როგორც აქ, ისე საზღვარგარეთ. მორიგ ამოცანად ჩვენ წინაშე სდგას: ჩამორჩენილ სოფლის აღდგენა, სკოლების ქსელის გაფართოება, ახალ გლეხურ, რევოლიუციონურ ინტელიგენციის წარმოშობა. ჩვენი უნივერსიტეტი მოგვცემს ჩვენ საკმარისს ძალებს. უნდა ვიფიქროთ იმაზე, რათა იაფად მივაწოდოთ სოფელს ნავთი, მარილი და ტანთსაცმელი. როდესაც ჩვენი გლეხი იქნება მაძღარი, მაშინ მისი განათლება ადვილი საქმეა. ერთი რამ ჩვენთვის ცხადია: ვერავითარ ხელისუფლებას, თუ არა საბჭოთა მთავრობას, არ შეეძლო გამოეყვანა ქვეყანა ნგრევის მდგომარეობიდან. ჩვენი გზა ნათელია. ჩვენ ავაღორძინებთ ქვეყანას. დეე, ჩვენმა მტრებმა გაავრცელონ ათასგვარი ჭორები და ცილისწამებანი". (მქუხარე ტაში).

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარი

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს

ტფილისის ორგანიზაციის წევრებს შორის საკმაოდ მოიპოვებიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც პოლიტიკური ცოდნა ან ნაკლებათ აქვთ მიღებული, ან სრულებით არ აქვთ და ან აქვთ და სურთ შეავსონ ეს ცოდნა ვინმეს ხელმძღვანელობით მარქსისტული თვითგანვითარების გზით.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საპროპაგანდო ძალების სიმცირის და ჩვენი პარტიული ამხანაგების მთელ რიგ ვალდებულებებით დატვირთვის გამო, შეუძლებელი ხდება მთელი პარტიული მასის სასკოლო სწავლების საქმეში ჩაბმა, რომ ჩვენში სათანადოთ ვერ არის დაყენებული წიგნთსაცავების და კლუბების მუშაობა, საჭიროთ მიგვაჩნია თვითგანვითარების საქმის სისწორით დაყენების საკითხს ახლო მომავალში მიექცეს დიდი და სერიოზული ყურადღება.

ამას გარდა თვით პარტიის იმ წევრთათვის, რომელთაც გაუვლიათ სკოლები, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ მიერ შეძენილი ცოდნა შესაძლებელია ამოიშალოს მეხსიერებიდან,—საჭიროა ამ ცოდნის განმეორება და განვითარება სისწორით დაყენებულ თვითგანვითარების, განსაზღვრული პროგრამით სისტემატიური კითხვის გზით.

მთელ მუშაობას თვითგანვითარებისათვის, რომელიც შეიძლება ხდებოდეს, როგორც კოლექტიური მეცადინეობისათვის წრეების შექმნის, ისე სახლში ინდივიდუალური კითხვის გზით, ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტთან დაარსებული „მარქსისტული განვითარების დახმარების ბიურო".

ბიურო იძლევა მეცადინეობის პროგრამას პარტიის სხვადასხვაგვარი ცოდნის მქონე წევრთათვის, მიუთითებს ლიტერატურაზე ამა თუ იმ საკითხისათვის, ადგენს ინსტრუქციებს მეცადინეობისათვის სახლში, წრეებში და სხვა...

ბიურო აგრეთვე პასუხს აძლევს წერილობით ან ზეპირათ ყველა იმ კითხვებზე, რომლებიც წამოიჭრებიან პარტიის წევრების წინაშე ამა თუ იმ საკითხის გარჩევის დროს. რაიკომებთან ბიურო ჰქმნის თავის განყოფილებებს, რომლებიც ორგანიზაციულად ხელმძღვანელობენ წრეების მუშაობას და აგრეთვე ანხორციელებენ დახმარებას პარტიის იმ წევრთა მარქსისტულ თვითგანვითარებისადმი, რომლებიც ინდივიდუალურათ გადიან პოლიტიკური ცოდნის კურსს. ორგანიზაციული მხრივ რაიკომების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებებით:

1. პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები, რომლებიც არ შედიან სკოლებში და მარქსისტულ წრეებში, მაგრამ მოწადინებული არიან მიიღონ თვითგანვითარება, აყვანილ უნდა იქნენ აღრიცხვაზე (შეტანილი იქნებიან პოლიტიკური ცოდნის გასინჯვის შედეგების წიგნებში).

2. ამრიგად აღრიცხვაზე აღებულ პარტიულ მუშაკებისაგან, თავისუფალი წევრების პრინციპზე, არსდებიან თვითგანვითარების წრეები, რომლებიც ორგანიზაციულად დაკავშირებული არიან სათანადო რაიკომებთან.

3 წრის მოწყობის ინიციატივა შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც რაიკომებს, ისე წრის მომავალ წევრებს, მაგრამ რაიკომების დასტურით.

4. საკლუბო მუშაობის გაძლიერების მიზნით, სასურველია ასეთი წრეები არსდებოდენ კლუბების გარშემო და შიგ ჩაბმულ იქნენ უპარტიოებიც.

5. თვითგანვითარების წრე უნდა შესდგებოდეს ერთნაირი ცოდნით აღჭურვილ ამხანაგებისაგან, რომელთაც უნდა აერთიანებდეს საერთო თეორიული ინტერესი, უკანასკნელი უნდა შეადგენდეს წრის შემაკავშირებელ ძალას და შეჰქონდეს მასში განსაზღვრული თვითდისციპლინა.

თვითგანვითარების წრეების დაარსების დროს რაიკომების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებები უნდა ითვალისწინებდენ ამ განსაკუთრებულ მხარეს და თვალყურს უნდა ადევნებდენ იმას, რომ წრის წევრთა რაოდენობა არ დარჩეს ძლიერ დიდი, რომ წრე შესდგებოდეს იმ ამხანაგების ჯგუფებისაგან, რომლებიც შეეფერებიან ზემოთ წამოყენებულ პირობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში წრის შემადგენლობა იქნება დაუსრულებელი, მისი წევრების [illegible] დისციპლინა [illegible] ბოლოოდ [illegible].

6. იმისათვის, რომ დარგის მეცადინეობა თავიდანვე სწორ გზა იქნეს დაყენებული, პირველ დარიგებების მიცემის პროგრამების შერჩევისა და მეცადინეობის მეთოდების გამოძებნისათვის და სხვ... პირველ კრებას ხელმძღვანელობს ბიუროს რომელიმე წევრი, ან რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების წარმომადგენელი.

ასეთი კრებები იმართება საჭიროების მიხედვით შემდეგშიაც, მაგრამ არა უმეტეს ერთისა თვიურ

7. იმ ამხანაგებს, რომელთაც საშუალება არ აქვთ, ან არ სურთ წრეში შესვლა, შეუძლიათ მეცადინეობა სახლში, თვითგანვითარების დახმარების ბიუროს მიერ გამოქვეყნებული პროგრამის მიხედვით.

იღებს რა წესათ პარტიის იმ წევრთათვის, რომლებიც ეწევიან თვითგანვითარებას, თავისუფალი წევრების პრინციპს, ტფილისის კომიტეტი იმედს გამოსთქვამს, რომ შექმნილ პარტიის წინაშე წარმოშობილ კოლოსალური მნიშვნელობის ამოცანები აიძულებს პარტიის თითოეულ წევრს მიიღოს ყოველივე ზომები იმისათვის, რათა აღამაღლოს თავისი კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონე.

ტფილისის კომიტეტის მდივა რუხაძე.

ტფილ. კომ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამ პეპიაკოვი.

პარტიის ახალი ამოცანების შესახე

(დასასრული *)

20. უჯრედები წარმოებებში არ უნდა წარმოადგენდენ კარჩაკეტილ კოლექტივს და მით უფრო არ უნდა თამაშობდენ „თვითმპყრობელის" როლს. ისინი ორგანიულად არიან დაკავშირებული მასასთან და ამიტომ ამ მასის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ.

შინაური დავა უჯრედში, პირადი დავა პარტიის წევრებს შორის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გადატანილი უპარტიო მასაში. უჯრედის ავტორიტეტი წარმოებაში—ეს ჩვენი პარტიის ძირითადი საკითხია. უჯრედებმა სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ იმ კომუნისტებთან, რომლებიც ძირს უთხრიან თავის ავტორიტეტს.

21. ჩვენს პირობებში მომავალშიც საჭიროა მტკიცე ხაზის დაცვა პარტიაში მიღების მხრივ, კვალიფიციურ მუშებს უნდა გაუადვილდეს პარტიაში შესვლა.

22. გადასინჯული უნდა იქნას უჯრედებთა მიმაგრებული ამხანაგების სია. უჯრედთან მიმაგრებულის ისევ იმ უჯრედში დარჩენის საკითხი, 2 თვის შემდეგ, უნდა გადაიჭრის თვით უჯრედში.

უჯრედმა უნდა განიხილოს მიმაგრებული ამხანაგის მუშაობა და ცუდათ მომუშავეები მოხსნას.

23 საჭიროა თვალყურის დევნება, რომ „ხაზიაისტვენიკები" არ მოსწყდენ პარტმუშაობას.

პარტიის უბრალო წევრების უნდობლობა და უკმაყოფილება ზოგიერთი „ხაზიაისტვენიკების" შედეგია: 1. „ხაზიაისტვენიკების" მიერ იმის დავიწყებით, რომ ის მოწოდებულია დაიცვას არა მარტო წარმოების, არამედ ამ წარმოების მუშების ინტერესებიც. ზოგიერთი „ხაზიაისტვენიკები" უკიდურესობაში ვარდებიან და თავის თავს, როგორც პატრონს, უპირისპირებენ მუშათა მასას. 2. ზოგიერთი უჯრედების მიერ იმის დავიწყებით, რომ მათ ამოცანას შეადგენს არა მარტო მუშების, არამედ წარმოების ინტერესების დაცვაც.

საჭიროა კომუნისტების შეთანხმებული მუშაობა წარმოებაში. „ხაზიაისტვენიკები" პერიოდიულათ ანგარიშს აძლევენ თავისი მუშაობის შესახებ და მოვალენი არიან მუშაობის პროცესში ჩააბან პარტიის ყველა წევრები იმ საკითხების განხილვაში და გადაჭრაში, რომლებიც წარმოებასთან არიან დაკავშირებული (წარმოების განვითარება, შრომ ნაყოფიერება, პროდუქციის ხარისხ გაუმჯობესება და სხვა).

24. იმისათვის, რომ პარტიის თი თეულ უბრალო წევრს შეეძლოს ყო ველგვარი ცნობის მიღება პასუხ მგებელი ამხანაგისაგან, საჭირო ტფილისის კომიტეტთან ცნო ბების ბიუროს მოწყობა. ამ ბიუ როში უნდა იმორიგეონ ტფილი სის კომიტეტის, აღმასკომის და ს. კ. ს. პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

25. ჩვენი სააგიტაციო და პროპა განდისტული მუშაობის მეთოდებ და საორგანიზაციო მუშაობის დაყე ნება, იშვიათად უწევენ ანგარიშ რომ პარტიის წევრები ნაკლებ გან ვითარებული არიან და ზოგჯერ არ აქვთ ელემენტარული ცოდნა (თეზ სები, ცირკულიარული წერილებ ფურცლები, მორიგი მოხსენებები დ სხვა).

საჭიროა მუშაობის ისე დაყენებ რომ საზრდო, რომელსაც აწვდი პარტიას, შეფარდებული იქნას პარ ტიის უბრალო წევრის აზროვნებას თან, რათა ის ადვილი შესათვის ბელი იქნეს მისთვის.

26. საჭიროა დამყარდეს ნორმა ლური ურთიერთობა უჯრედებსა და ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსო ნალს შორის. უჯრედები უნდა ცდი ლობდენ დაიკაონ მათთან კავშირი და მოაქციონ ისინი თავისი გავლე ნის სფეროში. არა ნაკლებ სერიო ზულია საკითხი „სპეცების" შესახებ. იმ „სპეცებისათვის", რომლებიც და ინტერესებული არიან წარმოებით და მუშაობენ მისი განსავითარებლად, ს ჭიროა საზოგადოებრივი ნდობის ატ მოსფერის შექმნა, უჯრედებმა და მარება უნდა აღმოუჩინონ მათ.

დროა შევიგნოთ, რომ „სპეცები" არ წარმოადგენენ კარჩაკეტილ, დ მოუკიდებელ კორპორაციას.

„ხაზიაისტვენიკები" და დაწეს ბულებების მეთაურები ძალიან დი დის ყურადღებით უნდა მოეპყრ „სპეცების" მოწვევის საკითხს. ხში რად „სპეცების" სახით საქმე გვაქ გამოქნილ გაიძვერა ტიპებთან ა საბჭოთა ხელისუფლებისადმი აშკ რად მტრულად განწყობილ ხალ თან, რომლებიც ძირს უთხრიან მ შაობას.

27. პრესის საკითხი. საჭიროა მ ვაღწიოთ იმას, რომ ყველა კომ ნისტები კითხულობდენ გაზეთს. გ ზეთები უფრო ახლო უნდა იდგ ცხოვრებასთან და მუშათა ყოფ ცხოვრებასთან, გაზეთები უნდა მარებოდენ მუშებს ყოველდღი საკითხების გარკვევაში.

რუბენ.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 282.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის კომუჯრედში

პარტიის ახალი ამოცანების შესახებ.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის კომუჯრედმა ამა წლის 5 დეკემბერს მოისმინა ამხ. ფანცხავას კომუჯრედის სპეციალური დავალებით გაკეთებული მოხსენება ამხ. ზინოვიევის წერილით გამოწვეულ დისკუსიის შესახებ, რის შემდეგ დაადგინა:

„ამხ. ზინოვიევის მიერ წამოყენებული საკითხები ახალი არ არის, ისინი ჩვენი პარტიულ ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებია, რომლებიც მოითხოვენ მათი დაუყოვნებლივ პრაქტიკულ განხორციელებას. ამ საკითხების გადაწყვეტის დაგვიანება იწვევს პარტიულ ცხოვრებაში „მეტის-მეტ სიწყნარეს და მოდუნებასაც". ეს კი შეუძლებლად ჰქმნის პარტიულ მასების თვითმოქმედებას და ინიციატივის უნარს.

არსებულ მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის სრულიათ აუცილებელია რ. კ. პ. მე-10 ყრილობის მიერ საორგანიზაციო საკითხში წამოყენებულ შემდეგი დებულებათა დაუყოვნებლივი განხორციელება:

„მომენტის მორიგ მოთხოვნილებას წარმოადგენს ახალი საორგანიზაციო ჩარჩოს შექმნა. ასეთი ფორმა არის მუშათა დემოკრატიის ფორმა. გეზი მუშათა დემოკრატიისაკენ უნდა აღებულ იქნეს ისევე გაბედულათ და განხორციელდეს ისეთივე ენერგი როგორც წარსულ პერიოდში ტ დებოდა პარტიის მილიტარიზაც გეზი. შინა-პარტიული მუშათა დ მოკრატია გულისხმობს კომუნისტ პარტიულ პოლიტიკის ისეთ ორ ნიზაციულ ფორმას, რომელ საშუალებას აძლევს პარტიის ყ ლა წევრებს მონაწილეობა ილონ პარტიაში წამოყენებულ ყ ლა საკითხთა გარჩევაში, გად ვეტაში და აგრეთვე აქტი თანამშრომლობა გასწიონ პარტ აღმშენებლობაში.

მუშათა დემოკრატიის ფორმა ს ლიათ უარყოფს ზევიდან დანიშვ (НАЗНАЧЕНСТВО), როგორც სისტ და თავის გამოხატულებას პოუ ყველა დაწესებულებებისთვის,—ზ დან ქვედა ფენებამდე,—ფართ არჩევნო საფუძველის ჩაყრას ანგარიშ ვალდებულებას, კონტ ლისადმი ქვემდებარეობას და ს

მუშაობის მეთოდებს, პირველ ლისა, წარმოადგენს ყველა უ რეს საკითხების ფართო გარ დისკუსიები ამ საკითხების გარ შინა-პარტიულ კრიტიკის სრ თავისუფლებით; ზოგად-პარტ გადაწყვეტილებათა კოლექტიურ მომუშავება, სანამ ამ საკითხებშ დებული არ არის საყოველთაო

ალდებულო პარტიული დადგენილებები“.

ამ დებულებათა განხორციელებისთვის, კომუჯრედის საზოგადო კრე- აუცილებელ და გადაუდებელ საქმეებთ სთვლის:

1) ამხ. ზინოვიევის წერილში წაყენებულ საკითხთა ფართო გარჩევას სარაიონო და საქალაქო კრებებზე.

2) სადისკუსიო პარტკლუბების ორგანიზაციას.

3) უმთავრეს საკითხების (პარტიულ, პროფესიონალურ და სახელმწიფოებრივ საკითხების) წინასწარ გარჩევას უჯრედებში.

4) დანიშვნების სისტემის (назначенство) მოსპობა.

5) საკონტროლო კომისიის მუშაობის კაბინეტურ წესის შეცვლა პარტიულ მასებში თავისუფალ გარჩევით, რათა ამით მიღწეულ იქნეს საკითხთა სრული ნათელყოფა და პარტიის პრესტიჟის ამაღლება“.

ეკონომიური ცხოვრება

ალუტის კურსი ტფილისში.

(7 დეკემბერი).

ჩერვონცები — —	235,000
ნ. სტერლინგ. ეფექტ.	230,500
ჩეკები —	230,500
ოლარები ეფექტ. —	53,500
ჩეკები —	51.000
სმ. ქაღ. ლირა	29.000
იტალიური ლირა	1700
ფრანგული ფრანკი	2500
ბ. ფულის ნიშნები	14 ნახ.

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—900 ათ., პური 2 ხარ. 800, ძროხის ხორცი—2,800 ათ., ფხვნილი შაქარი—7200 მილ., შაქარი რაფინადი—11,350 ათ., ბრინჯი ალდ. 2200. კარტოფილი—275. ცხვრის ორცი 3,500 ათ. ვერმიშელი—3300.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხ.—1400—1500 ათ., პური 2 ხარ.—1 მილ., ძროხის ხორცი 500., ცხვრის ხორცი—4 მილ. მან. შაქარი რაფინადი—11,500—12 მ. ფხვნილი შაქარი—7,500 ათ., ბრინჯი ალდაში—2,500. ვერმიშელი 3500 კარტოფილი—350 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ქვის ჩაი. რუს. „კოესინდიკატ“-ის პროდუქცია. ბორჯომის ქარხნის ნაწარმოები. ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. ლურსმნები. შაქრის ფხვნილი „იავა“-სი, შაბიამანი, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასნი რუს., ს. მ. უ. ს. საფეიქრო რესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიის, მზესუმზირას ზეთი, ქვა-მარილი ნა., ყუბანის ფქვილი, მაკარონი და ვერმიშელი, რკინეულობა, ოზუ ჩაი, საზა.

ბირჟის მოთხოვნილება.

ქვის ჩაი „კოესინდიკატ“-ის პროდუქცია. ფხვნილი და რაფინ. შაქარი ., მანუფაქტურა რუს სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდიის ცემენტი, ყუბანის ფქვილი, ტყნი-ცხიმი, ჩაი, ასანთი, ტყავის ბი.

ციალური გარიგებანი

ხ. მანუფაქტურა—უკანასკნელ სკურანტის ფასებში.

თეზი „ვოლგა“—2 მ. 30 კაპ. ფუთში, ფრანკო მყიდველის საწყობი ფილისში.

ქვის ჩაი.—90 მან. ფუთში, ფრანკო—მყიდველის საწყობი ტფილისში.

ღონიის ბაზრის განწყობილება.

ქრის, ხორბლეულის და ნედლეულის ბაზრებზე განწყობილება მტკიცე, საფეიქრო ნაწარმოებზე—სუსტი; საქონლის ქონის და რძის ნაწარმოების ბაზარზე—მტკიცე; დანარჩენ ბაზრებს უმოქმედობა ეტყობა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

დეკემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 1 გარიგება, სულ 2.700 ჩერვ. თანხისა.

ვალუტის ბაზრის განწყობილება

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი კვლავ მატულობს. ცოტა ზემოთ აიწიეს აგრეთვე საბჭ. ფულის ნიშნებმა.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(7 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 ქ.—	235.000,	60 ქ.—	14.100.000
2 „—	470.000,	70 „—	16.450.000
3 „—	705.000,	80 „—	18.800.000
4 „—	940.000,	90 „—	21.150.000
5 „—	1.175.000,	1 მ.—	23.500.000
6 „—	1.410.000,	2 „—	47.000.000
7 „—	1.645.000,	3 „—	70.500.000
8 „—	1.880.000,	4 „—	94 000.000
9 „—	2.115.000,	5 „—	117.500.000
0 „—	2.350.000,	6 „—	141.000.000
0 „—	4700.000,	7 „—	164 500.000
0 „—	7.050.000,	8 „—	188.000.000
0 „—	9.400.000,	9 „—	211.500.000
0 „—	11750.000,	1 ჩერ.—	235 მილ

პოლიგრაფ-განყოფილებაში.

ოქტომბრის განმავლობაში პოლი- გ. განყოფილების ყველა წარმოებები მუშაობდნენ სრულ 27 დღეს. განყოფილების ყველა წარმოებებში ირიცხება: საწარმოვო მუშა—492, არა საწარმოვო—15 და მოსამსახურე—14, სულ 514 კაცი.

პოლ.-განყოფილება უზრუნველყოფილია დაკვეთილებით 2—3 თვით.

აღსანიშნავია, რომ პოლიგრაფიულ სკოლის საკითხი წარმატებით მიმდინარეობს და ახლო მომავალში სკოლა გაიხსნება.

„ჩემო“-ში

3.000 გირვ. სტერლინგი ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურისთვის.

იმ თანხიდან, რომელიც თანახმად „ჩემო“-ს წესდებისა ერგება მთავრობას საზოგადოების მოგებებიდან (30 პროც.) „ჩემო“-მ გადასცა 3.000 გირვ. სტერლინგი ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაშენებლად.

„დიზელი“ ჭიათურაში.

„ჩემო“-მ მიმართა შორაპნის სამაზრო აღმასკომს წინადადებით, რათა უკანასკნელმა გამოისყიდოს „ჩემო“-ს მიერ შვეციიდან გამოწერილი „დიზელის“, რომელიც ეხლა იმყოფება ჭიათურაში, და თვითონ იკისროს მანქანის დადგმა და მოწყობა ჭიათურაში თავის ხარჯით.

აეროდრომი ჭიათურაში.

„ჩემო“ ზომებს იღებს ჭიათურაში აეროდრომის გასაკეთებლათ, რათა მოაწყოს სწორი მიმოსვლა ჭიათურასა და ტფილისს შორის „ზაკავია“-ს საშუალებით.

ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილებაში.

ოქტომბერში განყოფილების ყველა ნაწარმოებები: 1) ავტო-სახელოსნოები, 2) მანქანების დამმუშავებელი და თუჯის ქარხანა, 3) მექანიკური ქარხანა, 4) სპილენძის დამმუშავებელი ქარხანა და 5) ელექტრონის სადგური მთელი თვე მუშაობდნენ.

ოქტომბრის თვის ბოლოს, როგორც განყოფილების სამართველოში, ისე წარმოებებში ირიცხებოდა სულ 421 კაცი (სამართველოში—56 და ქარხნებში 365).

წარმოების მიხედვით საერთო რიცხვი განაწილდება ასე: საწარმოო მუშები—266 (72, 8 პროც.), არა-საწარმოვო მუშები—54 (14, 8 პროც.) და ადმინისტრ. ტეხნიკური შემადგენლობა 44 კაცი (12 პროც.)

რაც შეეხება წარმოებების პროდუქციას, ოქტომბერში სპილენძის ქარხანაში დამუშავებულია 758 ფუთი სპილენძი, 63 ფუთი. რკინის მუაჯირი—რკინის გზისთვის. საერთოთ ამ ქარხანაში საწარმოვო პროგრამა სავსებით ასრულებულია. დამზადებულ პროდუქტებიდან გასაღებულია 466 ფ. 4 გირ. სპილენძი, უმეტესად გლეხთა საჭიროებისათვის. რეალიზაციის ჯამი უდრის 6.080 მ. 25 კ. (ჩერვ.) გარდა ამისა ქარხანაში არის კიდევ 1.014 ფუთი სპილენძი.

„26 კომუნარის“ სახელობის სამანქანო და თუჯის დამმუშავებელი ქარხანა და ავტო-სახელოსნოები აწარმოებდნენ ავტომობილების კაპიტალურ რემონტს. სულ 8278 მან. ღირებულებისა და აგრეთვე საქარხნო მუშაობას. თითქმის ყველა დამზადებული ნაწარმოები გასაღებულია. ამჟამად ავტო-სახელოსნოები ამზადებენ ახალციხის აღმასკომისთვის 2 ტურბინას და სასოფლო-სამეურნეო იარაღის დიდ პარტიას. „კალინინის“ სახელობის მექანიკური ქარხანა სხვა ქარხნებიდან იმითი განსხვავდება, რომ მეთოდიურად მუშაობს და რაც უფრო ძვირფასია,—თავის დროზე ასრულებს დაკვეთილებს. ქარხანა უზრუნველყოფილია დაკვეთილებით რამდენიმე თვით. საანგარიშო თვეში ქარხნის პროდუქციამ მიაღწია 4,412 მანეთამდე, რაც აღემატება სექტემბრის პროდუქციას 895 მანეთით. ოქტომბრის მთელი პროდუქცია უკვე გასაღებულია. ოქტომბრის განმავლობაში განყოფილების ყველა წარმოებებმა დაამუშავეს სულ 46.400 მანეთის; გასაღებულია 22 940 მანეთისა, აქედან სახ. დაწესებულებებს—15.014 მან. (65,5 პროც.) და კერძო პირთ—7.926 მან. (34,5 პროც.).

ქალაქის კომუნალური მეურნეობა

3, ქალაქის სასაკლაო

ლაქის ერთ მთავარ საწარმოო წესებულებას წარმოადგენს ქალაქის სასაკლაო, რომლის მოსაქმიობის რთო 9 თვის განმავლობაში 923 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე) შემდეგია:

მორეკილ და დაკლულ საქონლის რაოდენობა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და მეზობელ რესპუბლიკებიდან იანვარში მორეკილ იყო სასაკლაოზე 10,9 ათასზე მეტი საქონელი, ამ რიცხვიდან დაკლულ იქნა 8 ათასი. თებერვალსა, მარტსა და აპრილში როგორც მორეკილ, ისე დაკლული საქონლის რაოდენობა კლებულობს, ამ თვეებში მორეკილი საქონლის რიცხვი საშუალოდ უდრის 7,7 ათას ხოლო დაკლულის რაოდენობა 6 ათასზე მეტს, დანარჩენ თვეებში სექტემბრის ჩათვლით ყოველთვიურად სასაკლაოზე ირეკებოდა საშუალოდ 10 ათასამდე პირუტყვი, იკვლებოდა 8 ათასამდე.

ცხრა თვის განმავლობაში სულ მორეკილია 84 ათას ნახევარი საქონელი, ხოლო დაკლულია 69 ათასამდე. საერთოდ საანგარიშო პერიოდში დაკლულია 80,1 პროცენტი მორეკილი საქონლისა.

85 ათასამდე მორეკილ საქონელში ავადმყოფი საქონელი აღმოჩენილა 134 თავი.

სასაკლაოს ქარხანაში გამომუშავებული საპონი.

საანგარიშო პერიოდში სასაკლაოსთან არსებულ საპნის ქარხანაში გამომუშავებულია უბრალო საპონი 1,5 ერთი მეოთ. ფუთი და 34 გირვანქა· იადროს საპონი 628 ფუთი და 14 გირვანქა, ტუალეტის საპონი 3564 ნაჭერი.

სასაკლაოსთან არსებულ საუტილიზაციო ქარხანაში გამომუშავებულ იქნა ცხენის ტყავი 117 ცალი ძროხის ტყავი—20 ცალი, ცხვრის—76 ცალი, თხის 14 ცალი, ხბოს 16 ცალი აქლემის ტყავი—3 ცალი, ვირის—4 ცალი, კვიცის—2 ცალი, ძაღლის—776 ცალი; სულ 9 თვის განმავლობაში გამომუშავებულ იქნა—1038 ცალი სხვადასხვა საქონლის ტყავი.

საძეხვე ქარხანაში გამომუშავდა საანგარიშო პერიოდში ისპანიური სალტისონი 22 ფუთი თავის—15 ფუთი, კრაკოვის კალბასი—113 ფუთი და 30 გირვანქა, ჩაის კალბასი 58 ფუთი, მოხარშული—61 ფუთი, სანადირო—18 ფუთი, პოლონური—16 ფუთი ნახევარი, ვენის ძეხვები—22 ფუთი, მოსკოვის ძეხვები—39 ფუთი, ლივერის—2 ფუთი სულ დაახლოვებით საძეხვე ქარხანამ დაამზადა 368 ფუთი ძეხველი.

სასაკლაოს პურის საცხობში საანგარიშო პერიოდში გამოცხვა სულ 3,957 ფუთი პური ყველა ხარისხისა.

ყინულის ქარხანაში. საანგარიშო პერიოდში დამუშავდა სულ 35,375 ფუთი ყინული, რომლიდანაც უვარგისი გამოდგა და დადნა—1,528 ფუთი.

სათბობი და საზეთო მასალის ხარჯი.

საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა მაზუთი 13,354 ფუთი და 13 გირვანქა. ხის ნახშირი—168 ფუთი, ნავთი—17 ფუთი, ბენზინი—118 ფუთი და 34 გირვანქა, დასაზეთი ზეთი—128 ფუთი, შეშა—18 კუბიკური საჟენი და 75 ურემი.

ქალაქის სასაკლაოს შტატი.

პირველ ოქტომბერს იყო მუშა 91 კაცი, ხოლო მოსამსახურე—33 კაცი,—სულ 124 კაცი.

ქალაქის სასაკლაოს შემოსავალ-გასავალი.

იანვარში სასაკლაოს შემოსავალი ოქროს კურსით უდრიდა 6,874 მანეთს, ხოლო გასავალი 7.349 მანეთს; აქედან შტატის შესანახად დაიხარჯა 3,931 მან. ე. ი. საერთო გასავლის 53,5 პროცენტი, შემდეგ თვეებში შემოსავალი დიდდება, თებერვალში იგი 9,5 ათასს მანეთს აღემატება ხოლო გასავალი იანვართან შედარებით ოდნავ კლებულობს (214 მანეთი) მარტში შემოსავალი 1,13 ათასს მანეთს აჭარბებს, ხოლო გასავალი—9,6 ათასზე მეტია, აპრილსა და მაისში, როგორც შემოსავალს; ისე გასავალს შემცირება ემჩნევა. აპრილში შემოსავალი უდრის—7320 მანეთს, გასავალი 6230 მანეთს; მაისში შემოსავალი—6,100 მანეთს გასავალი—6,230 მანეთს; ივნისში—შემოსავალი 10,6 ათას აღემატება, გასავალი კი 6,5 ათასს. ივლისი იძლევა ყველა თვეებზე მეტ შემოსავალს, რომელიც ამ თვეში უდრის 17.8 ათასს, ხოლო ამ თვის გასავალი 15,4 ათასს აღემატება, აგვისტოში 11,9 ათასი მანეთი შემოსავალი იყო, ხოლო 8,3 ათასზე მეტი გასავალი. ივლისის შემდეგ, ყველა თვეებზე მეტ შემოსავალს სექტემბერი იძლევა—16,5 ათასს მანეთს, ხოლო გასავალი უდრის 14,2 ათასს მანეთს.

სულ საანგარიშო პერიოდში შემოსულა 97,601 მანეთი, ხოლო გასულა 80,628 მან. შტატის შესანახად დახარჯულია 35,328 მან. ე. ი. საერთო გასავლის 45,9 პროცენტი.

კოოპერაცია

ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ფინანსიური დაბრკოლებანი

ამიერ-კავკასიის კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირზე (23 ნოემბერს) არჩეულმა საგანგებო კომისიამ, განიხილა-რა ა. კ. კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა, წარადგინა ვრცელი მოხსენება იმ ფინანსიურ დაბრკოლებათა შესახებ, რომლებსაც განიცდის ა. კ. კოოპერაცია ფულის ბრუნვის მოუწესრიგებლობის და კოოპერაციისთვის კრედიტის გაცემის ამ ჟამად არსებული ფორმის გამო.

მოხსენებაში აღნიშნულია ის ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი, რომელსაც განიცდის ამჟამად მრეწველობა და ვაჭრობა მთელ საბჭოთა ფედერაციაში და რომელმაც ძლიერ იმოქმედა ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მდგომარეობაზე. ზოგად მიზეზებს აქ, ამიერ-კავკასიაში, მიემატა კიდევ ადგილობრივი მიზეზები:

პირველი—ჩვენი ფულის ტრიალის მოუწესრიგებლობა და მეორე—კოოპერაციისათვის კრედიტების მიცემის ფორმა.

ამჟამად სწარმოებს ორი ფულის ნიშნების ბრუნვა. ერთი—უფრო მტკიცე—ჩერვონეცი და მეორე—ამიერ-კავკ. ბონები, რომელიც შეუჩერებლად და არა თანდათანობით ეცემა. ფორმალურად ორივე ნიშანი კანონიერ ალებ-მიცემობის საშუალებას წარმოადგენენ, მაგრამ სინამდვილეში-კი ამიერ-კავკ. ფულის ნიშნები ჰკარგავენ თავის მსყიდველობითი ძალას. დიდი მოთხოვნილება ჩერვონცებზე, რომლის რაოდენობა ამიერ-კავკასიის ბაზარზე მცირეა, ჰქმნის ამიერ-კავკასიის ბონების შეუჩერებელ დაცემას. ეს დამამხობელი მოვლენაა ჩვენი სახალხო მეურნეობისთვის, კერძოდ კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობისთვის. კოოპერაცია ასაღებს მომხმარებელთა შორის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის პროდუქციას ამიერ-კავკასიის ბონებით და იმავე დროს თავისი ვალდებულებანი ბანკების ან სამეურნეო დაწესებულებათა წინაშე უნდა შეასრულოს ჩერვონცებით, ამიტომ საქმისო გადასახადის მთელი სიმძიმე მას კისრად ედება. აქედან გამომდინარეობს ყოველდღიური ზარალი ვალიუტის კურსზე, რაც სისტემატიურად ძირს უთხრის კოოპერატიულ ორგანიზაციების ფინანსიურ მდგომარეობას და შეიძლება სრულიადაც დაღუპოს ისინი, თუ თავის დროზე სათანადო ზომები არ იქნება მიღებული. მეორე ძირითადი მიზეზი კოოპერაციის მძიმე მდგომარეობის იმაშია, რომ სახ. ბანკის და სამეურნეო ორგანოების მიერ კოოპერაციის კრედიტობა მეტად მძიმე პირობებში ხდება. პირველი ის, რომ კრედიტის ვადა არ აღემატება ორ თვეს. მიიღებს-რა კრედიტს, კოოპერატივმა უნდა გადაგზავნოს ეს კრედიტი სავაჭრო საქონლის სახით პირველი საფეხურის კოოპერატივებში. საქონლის ამგვარ გზით ბრუნვა ბევრად აღემატება ორ თვეს. შევიწროებული ამ პირობით, კოოპერაცია ხშირად იძულებული ხდება საქონლის გადაზიდვის მაგივრად ადგილობრივ გაყიდოს ეს საქონელი. ამის შედეგია, რასაკვირველია, ის, რომ პროვინციის და სოფლის კოოპერატივები ვერ სარგებლობენ საქონლის კრედიტით. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სრულებით არ სარგებლობენ ბანკის კრედიტით.

რაც შეეხება კრედიტის ფორმას, ბანკი აძლევს კრედიტს საქონლის გირაოს ქვეშ.

ეს ფორმა კოოპერაციისთვის ყველაზე უფრო მიუღებელია, ვინაიდან იგი ფაქტიურად აუძლურებს კოოპერაციის სავაჭრო რესურსებს. ბანკი იძლევა საქონლის ნამდვილ ღირებულების მხოლოდ 40—50 პროცენტს. ამ სახის კრედიტი ავიწროებს კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვას. მოყვანილ მიზეზების გამო კოოპერაციის საწყობებში დიდძალი საქონელი დაგროვდა, მისი გასაღება გაძნელდა, ვალები-კი მატულობს.

ამისდამიხედვით, კომისიის აზრით, მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი პრაქტიკული ზომები:

1) დაევალოს რუს. სახ. ბანკს და სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ამიერ-კავკ. ბონები (ჩერვონცებში აღრიცხული) კოოპერაციის ვალების გასანაღდებლად;

2) დაევალოს საკრედიტო დაწესებულებებს გახსნან კოოპერაციისთვის „მიმდინარე ანგარიშის“ ოპერაციები ა. კ. ბონებით.

3) დაევალოს სახ. სამეურნეო დაწესებულებებს მიაწოდონ კოოპერატიულ ორგანიზაციებს საქონელი ბონებზე (ჩერვ. აღრიცხული).

4) კრედიტის ვადის გადიდება და სესხის რაოდენობის მომატება საქონლის ნამდვილ ღირებულების მიხედვით.

5) კრედიტების გახსნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის.

ცეკავშირის ახალი საწარმოვო წამოწყებანი

ცეკავშირის საწარმოვო დარგის გამგებლობაში მიმდინარე წლის სექტემბერში გადმოვიდა ორი საწარმოვო დაწესებულება: 1) სამტრედიის ძაფის ამოსალები ქარხანა და 2) კოოპერატიული თამბაქოს ქარხანა „ქიზიყი“ ქ. სიღნაღში.

ძაფის ამოსალები ქარხანა გადმოვიდა საწარმოვო დარგზე ენკენისთვის 29-დან, ხოლო თავდაპირველად მის ექსპლოატაციას აწარმოებდა ცეკავშირის სამტრედიის განყოფილება. ქარხნის მუშაობა დაიწყო ა. წ. ივლისის 27-დან და საწარმოვო დარგის განკარგულებაში გადმოსვლამდე ქონდა 51 სამუშაო დღე, რომლის განმავლობაში გადაამუშავა 246 ფუთი პარკი და მიიღო: აბრეშუმის ძაფი 47 ფ. 37 გირ., ფრიზონის ძაფი 25 ფ. 5 გირ., ბასინეტის ძაფი 91 ფ. 38 გირ. ფრიზონეტის ძაფი 3 ფუთი 10 გირვანქა.

პირველ ოქტომბრიდან ქარხანა ყოველდღიურად ამუშავებს 7 ფუთ პარკს. მთელი თვის (ოქტომბრის) განმავლობაში ქარხანამ გადაამუშავა 168 ფუთი პარკი და მიიღო:

აბრეშუმის ძაფი 27 ფუთი, ფრიზონის 13 ფ. 8 გირ., ბასინეტის 46 ფ. 32 გირ., ფრიზონეტინ 3 ფ.

ქარხანაში ყოველდღიურად მუშაობს 120—125 დღიური მუშა და 20 შტატის თანამშრომელი.

თამბაქოს ქარხანა „ქიზიყი“ ცეკავშირის საწარმოვო დარგის განკარგულებაში გადმოვიდა ა. წ. ენკენისთვის 20-დან. ოქტომბრის განმავლობაში ქარხანამ დაამუშავა—37 ფ. და 28 გირ. თამბაქო—3,473 მან. ღირებულებისა (ჩერვ.), პაპიროსი—58,000 ც. 406 მან. ღირებულებ. ჯერ-ჯერობით ქარხანას აქვს შინამრეწველობის ხასიათი, ხოლო ამჟამად მიღებულია ზომები მისი გაფართოვებისა და მექანიზაციაზე გადასვლის შესახებ.

ტფილისის საბჭოს არჩევნები

არჩეულნი არიან:

„როზა ლუქსემბურგის“ სახელობის თამბაქოს ქარხნიდან: ამხ. ამხ. ალექსანდრე ნაზაროვი, (კომუნისტი), 2) ქარხნის წითელი დირექტორი არხიმანდრიტოვი, კანდიდატი ზინაიდა სუვერინევა (კომუნისტი).

არსენალიდან: ამხ. ამხ. ტოგანიძე, ვარამაშვილი, მაშკევიჩი, ბოჭორიშვილი—ყველა კომუნისტები.

ა. კავკასიის რკინის გზების და გადასახადების ამკრებ სამმართველოებიდან: ამხ. ამხ. ელიავა, პოზდეევი, კოპნაგინი, ვირაპი, ლეჟავა, დიაკონენკო, სულიავა, სანაკოევი, კალანდია—კომუნისტები. იერემაძე, იაბლონსკი, ბელოგირინი—უპარტიონი, მოგილაძე—კომკავშირის წევრი; კანდიდატებად: გიუზელიანი, შეინემანი—კომუნისტები, ქორქოლაძე ახ. კომ. კავშ. წევრი, მოროზოვსკი ქალი—უპარტიო.

მე-6-ე უბნის გზის მუშებისაგან: ამხ. ამხ. პრუსეცკი, სარდლიშვილი (კომუნისტები) სიხარულიძე საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ყოფილი მენშევიკი; კანდიდატებად: ამხ. ზაზიაშვილი და ამხ. ჯავახიშვილი (თანამგრძნობი).

ქალაქის სასაკლაოდან ამხ. ამხ. ფირალოვი, ხოჯაევი—კომუნისტები; ბესოშვილი—საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ყოფილი მენშევიკი; კანდიდატებად: ნიკიშინი (კომუნისტი).

ტფილისის ხაზის რკინის გზის მუშებისაგან: ამხ. ამხ. ლომინაშვილი, ქ. თავდიშვილი, ე. კალანდაძე, კალაძე, დ. ბატანკალაშვილი, პ. საბაშვილი, ლომიძე—ყველა კომუნისტი, გ. ყიფიანი—უპარტიო, კანდიდატად ლაფერაშვილი.

რკინის გზის საავადმყოფოდან: ამხ. ამხ. დარახველიძე—კომუნისტი, მიხაილოვი—კომუნისტი, კალანდაძე—უპარტიო; კანდიდატებად: გოპაძე—კომუნისტი და გულელაძე—უპარტიო.

საბჭოთა მუშაკებისგან: ამხ. ამხ. მიშა ოკუჯავა—კომუნისტი, თედო ღლონტი—მემარცხენე სოც. ფედ., ნიკიფოროვი—კომუნისტი, საფერთელიძე—კომუნისტი, ქ. ცინცაძე—კომუნისტი, ერზოვი—კომუნისტი, ქორქიაშვილი—კომუნისტი, ს. თუმანოვი, გ. დევდარიანი—ახ. კომ. კავ. წევ., მინა მელიქოვი—კომუნისტი, მიკირტუმოვი, სუხორუკოვი, არ. რუხაძე—კომუნისტი, ტერ აკოპოვი—კომუნისტი, კაჭარავას ქალი, ჯანიბეგოვი—კომუნისტი, გ. ვაშაკიძე—კომუნისტი, ართელავა—კომუნისტი, მოგილევსკი—კომუნისტი, ვარდოიანი—კომუნისტი, პატარაია—კომუნისტი, კანდიდატებად: ხაჩატურიანი, ზალისტესი, აქცენაური—კომუნისტები.

მბეჭდავთა კავშირის მუშებისაგან: ამხ. ამხ. ლადო დუმბაძე, ხაცკევიჩი, ნიკიტინი, ბოლქვაძე, ჟუკოვი, სეხნიაშვილი, ღებრიშვილი, მელდიაშვილი—კომუნისტები, არეშიძე—ყოფილი მენშევიკი და დარბინიანი—ახ. კომ. წევ., კანდიდატებად: სტაეცკი—კომუნისტი, უთმელიძის ქალი—კომუნისტი და ქორიძე—კომუნისტი.

გზათა სახ. კომ. დამცველების და სად. ტფილისის გზათა საგანგებო კომისიის თანამშრომელთაგან: ამხ. ამხ. ქავთარაძე—კომუნისტი, თვალჭრელიძე—კომუნისტი, ესაიაშვილი—კომუნისტი; კანდიდატებად: ბექენევი—კომუნისტი და ადამია—კომუნისტი.

სად. ნავთლუღის მუშებისაგან: ამხ. ვანო სტურუა—კომუნისტი, ომაროვი—კომუნისტი, ლეჟავა—კომუნისტი, ლომთათიძე—კომუნისტი, გოგობერიძე—კომუნისტი, ვაჩნაძე—ყოფილი მენშევიკი და ქართველიშვილი—უპარტიო; კანდიდატებად: თომა ანთაძე—კომუნისტი, მაღალთაძე—კომუნისტი, კოდინა და სხირტლაძე—უპარტიო.

ამ.-კავკასიის რკინისგზების სავაგონო პარკიდან: ამხ. ამხ. ხუციშვილი, ფილიპოვი, მაისურაძე, რუბენი, მორჩილაძე იოსებ, ზაკამოლდინი, ცინცაძე, სტრეპენოვი—ყველა კომუნისტური პარტიის წევრებია. კლაიძე—ყოფილი მენშევიკი და ერთიც ახალგ. კომკავშირელი რომანოვსკი; კანდიტატებად არჩეულია 4 უპარტიო—ბაქანოვი, ხორიაშვილი, აფხაზავა, სუხიშვილი გიორგი.

მეთუთუნეთაგან და მეკურტნეთაგან არჩეული არიან ამხანაგი კომუნისტები: დავით კილაძე, ამბროსი მახარაძე, აბელ თოდრია, კანდიტატებად—ვანო ჩიხლაძე, იაგორ კალანდაძე—ყველა კომუნისტებია.

უმუშევარ რკინისგზელთაგან მუშტაიდში არჩეულნი არიან 2 კომუნისტი: ვაშაკიძე და კუსტიევი და 4 უპარტიო: ბოჭორიძე, ასლამაზაშვილი, მარიამ მარშანია, კანდიტატად—ზვადაძე.

ქარხანა „ინტერნაციონალი“-დან: კომუნისტი ფრიდონოვი და კანდიტატად კომ. კავ. წევრი ართო მურადოვი.

მშენებელთა ავლაბრის რაიადგილკომიდან ერთხმად არჩეულნი არიან ამხ. ამხ. ჯორბენაძე იასონ, ხანოიანი სერგო, ბაბანოვი ოჰანესი, გრიგორიანი არშაკ,—ყველა კომპარტიის წევრები. პოლოს ბაირამოვი—უპარტიო და ორი კანდიდატი: ასატურ აზატოვი—კომუნისტი და კარაპეტ ოჰანეზოვი—უპარტიო.

Коллекция

არჩევნების ნუსხა

მეორე რაიონში.

დღეს, 8 დეკემბერი.

1) სამხედრო და კერძო სახერხი ქარხნები დილის 10 საათზე, მადათოვის კუნძული.

2) მელითონეები—პირველი და მესამე ავტო-სახელოსნოების, სპილენძის ქარხნისა, პირველი და მეორე საბჭოთა ქარხნების დილის პირველ საათზე, ავტო-სახელოსნოებში ელისაბედის ქ. № 119.

3) კოოპერატიული ორგანიზაციები: ცეკავშირი, მუშკოოპი, ცენტროკავშირი, ცენტრო საწყობი, ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში.

4) მეოჯახე ქალები—მუშათა ცოლები, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტ. კლუბში.

კვირა, 9 დეკემბერი.

1) მე-8-ე, მე-9-ე და მე-10-ე რაიონის მუშათა და გლეხთა გაერთიანებული მილიცია, დილის 10 საათზე მუშათა ცენტ. კლუბში.

2) მე-4 რაიონის მეეზოვეები, შუადღის 12 საათზე მუშ. ცენტ. კლუბში.

3) დასახიჩრებული ჯ.-კაცები, ნაშუადღევს 2 საათზე, დასახიჩრებულ ჯარისკაცთა საერთო საცხოვრებელში.

მესამე რაიონში.

შაბათ, 8 დეკემბერს.

1) სასურსათო მაღაზია, სასურსათო სახ. კომ. საწყობი, ორთოჭალის წისქვილი, ბაბაჯანოვის წისქვილი, ქალქის [illegible], თამბაქოს ქარხანა—„კავკაზი“, მაკარონის ქარხანა და გემოკვების კავშირის საქარხნო კომიტეტი № 11—ნაშუადღევის 1 საათზე—ავჭალის მუშათა კლუბის შენობაში.

2) ბოტანიკური ბაღი—დილის 11 საათზე—ბოტან. ბაღთან არსებულ კლუბის შენობაში.

3) ქალაქის საავადმყოფო, მესამე რაიონის აფთიაქები და ამბულატორიები—ნაშუადღევის სამ საათზე, ქალაქის საავადმყოფოსთან არსებულ კლუბის შენობაში.

4) დალაქები და კერძო მეტყავეები—საღამოს 6 საათზე. მეტყავეთა კლუბის შენობაში (სიონის ქუჩა).

კვირას, 9 დეკემბერს.

1) მესამე რაიონის სახალხო კვებების კავშირი და მეაბრეშუმეები, დილის 9 საათზე, ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბის შენობაში.

2) მეექვსე კომისარიატის მეეზოვეები—დღის 12 საათზე, კომისარიატის შენობაში.

3) საკონსერვო ქარხნის, ტყავის ქარხანა № 2 და საპნის კერძო ქარხნები, ნავთლუღი—ნაშუადღევის 2 საათზე ტყავის ქარხნის № 2 შენობაში.

4) მესამე რაიონის ტვირთმზიდავნი და მეკურტნენი საღამოს 5 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში.

პოლიგრაფიულ წარმოების მუშებში

მეოთხე რაიონის საარჩევნო კომისიამ 6 დეკემბერს, დილის 10 ს. მოიწვია პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა საერთო კრება, ქალაქის საბჭოში დეპუტატების ასარჩევად. კრება შესდგა პროფსაბჭოს დიდ დარბაზში. მუშები კრებას დაესწრნენ უკლებლად. კრების გახსნამდის მუშებში იქნა დარიგებული კომპარტიის „ნაკაზი“. შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. რუბენი. მუშებში დიდ თანაგრძნობას იწვევს გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობა და აღელვებს მუშებს სოციალ-დემოკრატიის გამცემლობითი პოლიტიკა. შემდეგ ხდება არჩევნები. ერთხმად მიღებულ იქნა მბეჭდავთა კავშირის კომფრაქციის სახელით წარმოდგენილი კანდიდატთა სია. ქალ. საბჭოში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: ვანო ბოლქვაძე, ნ. ნიკიტინი, ლადო დუმბაძე, ღებრიშვილი, ხაცკევიჩი, არეშიძე (ყოფილი მენშევიკი), ჟუკოვი, დარბინიანი, მელდიევი და სეხნიაშვილი, კანდიდატებად: სერგო ქორიძე, სტაეცკი და უთმელიძე, რის შემდეგ კრება სრულ 12 საათზე დაიშალა.

სტამბის მუშა კ.

ა.-კ. რკინისგზების ვაგონების პარკში

ქალაქის საბჭოში არჩევნების მოსახდენათ აღნიშნულ პარკში შეიკრიბნენ ელექტრიულ სადგურის, დეპოს, სატელეგრაფო სახელოსნოების და სხ. მუშები.

სამუშაოების გათავების შემდეგ, ყველა თავის სამუშაო ტანსაცმლებში მოვიდა არჩევნებზე და ყველას ერთი მიზანი აქვს—საქმეს სერიოზულად მიეპყრან და საბჭოში სასურველი ამხანაგები აირჩიონ.

სიჩუმეა. კრება იხსნება.

მუშები ოვაციებით უსმენენ ამხ. ქავთარაძეს, რომელიც მათ ქართულ ენაზე უმარტავს საბჭოს მნიშვნელობას, მის მუშაობას, ძველი საბჭოს დადებით თუ უარყოფით მხარეებს, და მოუწოდებს მათ მიმდინარე წლისათვისაც არჩევნებისადმი დინჯად მიდგომით საბჭოში კარგი ძალები შეიყვანონ. ამასთანავე ის აცნობს მათ „ნაკაზ“-ს ყველა მუხლებს.

რუსულ ენაზე მოხსენებით გამოდის ამხ. გოლდბაუმი. ის ამბობს:—„ახლა ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული საბჭოში ვინ ავირჩიოთ, ვიცით, ვინ დაიცავს სისწორით მუშათა მასის ინტერესებს“-ო.

კრებაზე იკითხება საბჭოს „ნაკაზი“. ყველა ყურადღებით უსმენს. იღებენ რეზოლიუციას: „ჩაითვალოს ძველი საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლათ. ჩვენ ყველას გვსურს ხელიხელ ჩაკიდებული ვიბრძოლოთ კომპარტიასთან ერთად“.

რეზოლიუციას მიჰყვა რამოდენიმე საკმაო საყურადღებო დამატებები:

„ჩვენ, სავაგონო პარკის მუშები უცვლელად ვიღებთ „ნაკაზ“-ს და საჭიროდ მიგვაჩნია დაუმატოთ შემდეგი—ახალმა საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს:

1) საბჭოთა დაწესებულებებისათვის მუშური ხასიათის მიცემას;

2) საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებისთვის მატერიალურ დახმარებას;

3) მუშების ლოთობასთან და მათ რაიონებში დუქნების მოსასპობად გადამწყვეტ ბრძოლას;

4) უმუშევართა დახმარებას, მათთვის საერთო საცხოვრებელი სახლის გახსნას;

5) მუშათა შორის ფიზიკური კულტურის განვითარებას;

6) უმუშევარ ახალგაზრდობის კლუბებისთვის დახმარებას;

7) ტრანსპორტზე საქარხნო საფაბრიკო სასწავლებლის გახსნას;

8) განათლების საქმეში კლასიური პრინციპის დაცვას;

9) ქალაქში ბაღებისა და ნერგების გაუმჯობესებისთვის ზრუნვას“.

ამის შემდეგ ასახელებენ კანდიდატებს. კენჭის ყრის შედეგები შემდეგია:

ერთხმად არჩეულნი არიან საბჭოში დეპუტატებად: ამხ. ამხ. ხუციშვილი, მაისურაძე, ზაკომოლდინი, ფილიპოვი, რუბენი, ცინცაძე, მორჩილაძე იოსები, სტრეპეტოვი (ყველა კომუნისტები), ამხ. რომანოვსკი, (ახალ. კომკავშირის წევრი) და ამხ. ჩლაიძე (ყოფ. მენშევიკი), საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგარი.

კანდიდატებათ არჩეულ იქნენ: ბეკანოვი, ხორპოშვილი, აფხაზავა და სუხიშვილი გიორგი, უპარტიო ამხანაგები.

კრება დაიშალა.

ყველას სახეზე სიამოვნება ეტყობა.

მუშკორი ს—მუელი.

წითელი დირექტორი—საბჭოს დეპუტატი

(მეკოლოფეთა შორის)

მუშები კოლოფების საკეთებელ ქარხნის „ინტერნაციონალი“-სა—ყველა არჩევნებზეა.

მათ ლამაზად მოწყობილ კლუბში არ არის ადგილი. ყველა მუშები ლურჯ ხალათებში არიან გამოწყობილნი. ამას გარდა მუშა-ქალებს თავი აქვთ შეხვეული წითელი „თავსახვევით“.

საუბნო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. მასხულია ხსნის კრებას. ის მიუთითებს კრებას, რომ უნდა აირჩიონ ახალ საბჭოში პატიოსანი და საქმის მოყვარე დეპუტატები.

— რას წარმოადგენს თავის-თავად ეს ჩვენი საბჭო?“—ეკითხება და თვითონვე აძლევს პასუხს ამ ქარხნის წითელი დირექტორი ამხ. ფრიდონოვი. „ჩვენი საბჭოები—ეს ის საბჭოებია, სადაც თავს იყრიან ჩვენ მიერ არჩეულნი მუშები, გლეხები და წითელარმიელები, რომელთაც უნდა დაიცვან ჩვენი და მთელი მშრომელ ხალხის ინტერესები“.

ამხ. ფრიდონოვი თავის მოხსენებაში შეეხო აგრეთვე ქალაქის მეურნეობას (ტრამვაი, ზემო-ავჭალის სადგური, მოწყობა ქალაქისა და სხვა), რამაც ჩვენ მიერ არჩეულ ღირსეულ ამხანაგების წყალობით წინ წაიწია.

მუშების თხოვნის გამო ამხ. ნაზაროვი უკითხავს ახლად ასარჩევ დეპუტატებს „ნაკაზ“-ს.

მუშები სრულიად იზიარებენ „ნაკაზ“-ს, რომელიც ეხება ყველა მხარეს საბჭოთა ცხოვრებისას: „იქ არის „მაკრატელი“ „მუშებისა ❦ გლეხების კავშირი“, „ოჯახური ადათები“, სასკოლო საქმეები და მატერიალურად უზრუნველყოფა საექიმო და განათლების დარგის მომუშავეთა“.

—„დამატება არის“! „არის!.. არის! უპასუხებს მუშა“,—ყველა მუშები ჩვენი ქარხნისა მომხრე არიან, რათა შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება: შეკეთება მუშათა სახლებისა და გახსნა „გლეხის სახლისა“.

„ნაკაზი“ სრულიად მიღებულია. დაიწყო კანდიდატების არჩევა. საბჭოში დეპუტატებად არჩეულ იქნენ: წითელი დირექტორი—მუშა. ამხ. ფრიდონოვი და მის კანდიდატად ამხ. მურადოვი.

მუშკორი ჟ—ცკი.

მეთამბაქოებში

მეთუთუნე მუშები ყველა მზად არიან.

თამბაქოს ფაბრიკის „პროლეტარი“-ს მუშები ყველა საქმეს სერიოზულად ეკიდებიან.

დღეს საბჭოს არჩევნებია.

მოხსენებაში ამხ. კოგანი დაწვრილებით ჩერდება მართვა-გამგეობის საკითხზე ჩვენში, საბჭოთა რესპუბლიკებში და საზღვარ გარეთ.

იქ მოყიდვებია, მიწებზე მფლობელობის გაფართოვების მისწრაფებაა, ნაციონალიზმი, ომი, ბურჟუაზია და იმპერიალიზმი...

აქ კი, ჩვენთან: მშვიდობიანობა, პროლეტარიატი, მუშათა ინტერესების დაცვა და წითელ არმიაზე ზრუნვა, რომელიც ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას.

ჩვენი საბჭოები წინ სწევენ წარმოებას, აუმჯობესებენ სახალხო მეურნეობას.

წინ მარჯვეთ მივდივართ.

გლეხებთან კავშირი, სასკოლო საქმე, წითელი არმიის და სხვა.

წაკითხული „ნაკაზი“ სრულიად მიღებული იქნა; მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება იცავს მშრომელთა ინტერესებს და აუმჯობესებს მათ საქმეს“.

დასახელებულია კანდიდატები:

კენჭის ყრის შემდეგ დეპუტატებათ არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. კოგანი და ოგანოვი—(კომუნისტები) და მათ კანდიდატებად ამხ. ეფროსინია და კოვალენკო.

იმედი გვაქვს, რომ დეპუტატებისადმი გამოთქმული ნდობა სავსებით გაგვიმართლდება.

მუშ. მარხი.

არსენალის მუშები ირჩევენ მხოლოდ კომუნისტებს

არსენალის მუშები 320 კაცი, როგორც ერთი, უცდიან არჩევნებს. ყველა სპეც-ტანსაცმლებში იცდიან თავიანთ მუშათა კლუბში, სრულიად თავისუფლად, უბრალოთ, მუშურათ, გაიმართა საუბარი ძველ საბჭოს შესახებ. მუშებმა აქვე გახსნეს „სახელმწიფო სათათბირო“.

— სტეფანე!—ვისი არჩევას ფიქრობ საბჭოში?—კითხავს ერთი მუშა მეორეს.

— ცხადია, კომუნისტების,—მიუგებს ის.

— ჩვენ—დირექტორის. ის ჩვენია, მუშაა ისე, როგორც ჩვენ.

მოხსენებას აკეთებენ ამხ. მაშკევიჩი (რუსულ ენაზე) და ამხ. გაგნიძე (ქართ. ენაზე), რომელნიც დაწვრილებით აცნობენ კრებას ძველი საბჭოს მოღვაწეობას, სადაც აღნიშნავენ სახალხო მეურნეობის გაუმჯობესებას, ზემოავჭალის ჰიდრო-ელ. სადგურის აშენებას და სხვა.

კითხულობენ „ნაკაზ“-ს ერთხმად ოვაციებით და ტაშის ცემით ღებულობენ ამ „ნაკაზს“.

იძახიან ადგილებიდგან: „სწორია“, „სწორი გათვალისწინებაა“.

კომუჯრედის მიერ წარმოდგენილი, დეპუტატების სია ერთხმად იქნა მიღებული.

არჩეულია ამხანაგები: ტოგანიძე, ბოჭორაშვილი, მაშკევიჩი, ვარამოშვილი,—ყველა კომუნისტები.

მხოლოდ კომუნისტები.

— საბჭოს საპატიო წევრებათ მუშების მოთხოვნით არჩეულია ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ჯუღაშვილი, მიხა ჩოდრიშვილი, ცხაკაია, ორჯონიკიძე და ენუქიძე.

ახლად არჩეულმა დეპუტატებმა მადლობა გამოუცხადეს მუშებს მათ მიერ მათდამი გამოთქმულ ნდობისათვის და მისცეს მათ პატიოსანი, კომუნისტური სიტყვა, მთელი „ნაკაზ“-ს ცხოვრებაში გატარების შესახებ.

არსენალის მუშები იწონებენ წინანდელი საბჭოს მუშაობას და იმედი აქვთ, რომ ახალი საბჭო ახალ „ნაკაზ“-ს სრულიად გაატარებს ცხოვრებაში, მუშების საკეთილდღეოთ.

ჩვენ კომპარტიასთან ერთად ვდგევართ.

გაუმარჯოს საბჭოებს.

მუშკორი მახა.

რკ.-გზის დამცველთა და საგ. სატ კომისიის თანამშრომელთა დეპუტატები.

სადგურ ტფილისის მემუხრუჭეთა დარბაზის აუდიტორიაში 5 დეკემბერს შესდგა შეერთებული კრება მე-2-ე რაიონის რ. გ. დამცველთა რაზმის და საგანგებო სატრანსპორტო კომისიის თანამშრომელთა; დღის წესრიგში: საკითხი იდგა ქალაქ ტფილისის საბჭოს დეპუტატების არჩევნები. მოხსენებები გააკეთეს პირველი რაიონის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. გოლდბაუმმა და ლადო ქავთარაძემ, რომლებიც შეეხნენ საბჭოს მნიშვნელობას და მოუწოდებდნენ კრებას, რათა აერჩიათ იმისთანა ამხანაგები, რომლებიც დაინტერესებული არიან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

მოხსენების შემდეგ მოხდა არჩევნები. კრების მიერ ქალაქის საბჭოს დეპუტატებათ ერთხმად იქნენ არჩეულნი ამხ. გიორგი ქავთარაძე, გიორგი თვალჭრელიძე და ილიკო ესაიაშვილი.

მუშკორი მგზავრი.

არჩევნები ტფილისის მაზრაში

წყნეთის სასოფლო საბჭოში არჩეულია 20 წევრი, მათ შორის სამაზრო ყრილობაზე დეპუტატებათ ერთხმად იქნენ არჩეულნი: 1) იტრიევი, (კომ.) 2) შახკულოვი (უპარტ.) კანდიდატათ—შახკულოვი სტ. (უპ.)

დიღმის სასოფლო საბჭოში არჩეულია 45 დეპუტატი, მათ შორის სამაზრო ყრილობის დეპუტატებათ არჩეულნი იქნენ: 1) შონია ალ. (კომ.), 2) ასრიევი (კომ.), 3) ნეცუბიძე ლ. (კომ.), 4) ასიტოვი კარ. (კომ.) და 5) თაბაგარი (უპ.). კანდიდატებათ—1) ოგანეზოვი ზაქ. (უპ.) და 2) მძევაშვილი გ. (უპ.)

კოჯორის სასოფლო საბჭოში არჩეულია 37 წევრი, მათ შორის სამაზრო ყრილობის დეპუტატებათ არჩეულნი იქნენ: 1) ქართველიშვილი დ. (კომ.), 2) ჩხეტია კონსტ. (კომ.), 3) ვარნაზოვი აშ. (კომ.), 4) ვარამაშვილი (უპარტ.), კანდიდატათ—გლოევი ვ. (უპ.).

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი

6 დეკემბერს ამხ. ს. ჯუღელის თავმჯდომარეობით შესდგა პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა საქარხნო კომიტეტების თანდასწრებით. დღის წესრიგში იდგა: საქართველოს პროფსაბჭოს მოქმედების ანგარიში პროფკავშირთა სრ. საქართველოს მესამე ყრილობის დამთავრებიდან დეკემბრამდე. (მომხსენებელი იყო ამხ. ყურულაშვილი).

პრეზიდიუმის მუშაობა საორგანიზაციო დარგში.

პროფკავშირთა სრ. საქარ. მესამე ყრილობის დასრულების შემდეგ, პროფ. საბჭოს დაკისრებული ჰქონდა ცალკე კავშირების სრულიად საქართველოს მესამე ყრილობათა და ცენტრალურ გამგეობათა განახლება.

ხელოვნების მუშაკთა, გემო-კვების, და მკერავთა კავშირებს გარდა, ყველა კავშირმა ჩაატარა ყრილობა და განაახლა ცენტ. გამგეობა.

კავშირის ფინანსები.

ინდივიდუალურ წევრობის ჩატარებამ კავშირის ფინანსებს საგრძნობლად განამტკიცა. პროფკავშირთა მესამე ყრილობის დროს ინდივიდუალურ წევრობაზე გადასული იყო კავშირის წევრთა 66 პროცენტი, ამჟამად ინდივიდ. წევრ. გადასულთა რაოდენობა ტფილისში 96 პროცენტამდი აღწევს, ხოლო პროვინციაში—82-მდე. წლის დასრულებამდე საწევრო გადასახადების აკრების ზემოხსენებული სისტემა სავსებით გატარებული იქნება.

ორ კავშირს გარდა, რომელთაც 500-მდე წევრი ჰყავთ მთელს რესპუბლიკაში, ყველა კავშირები უდეფიციტოა.

ცუდათ არის დაყენებული საკავშირო მასისადმი საფინანსო ანგარიშების წარდგენის საქმე.

ფონდები

მესამე ყრილობამ აუცილებლად სცნო სამი ძირითადი ფონდის არსებობა: კულტურულის, უმუშევართა და საგაფიცვო. ხსენებული ფონდები თანდათან მტკიცდებიან. უკანასკნელ დროს გაძლიერდენ აგრეთვე ურთიერთ დახმარების სალაროები. მესამე ყრილობის დროს სალაროში ირიცხებოდა კავშირების წევრთა 25 პროცენტი, ამჟამად სალაროები აერთიანებენ კავშირის წევრთა 40 პროცენტს.

მესამე ყრილობის შემდეგ ახალგაზრდებში მუშაობა გაცხოველდა.

ეკონომიური მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ ამ დარგში კავშირები სუსტად მოქმედებენ მიუხედავად იმისა, რომ ყველა სატარიფო ყრილობებისა და პლენუმის მიერ გაცემულია დირექტივები ამ დარგში მაქსიმალური მუშაობის გასაჩაღებლად.

(დასასრული იქნება)

ინჟენერთა და ტეხნიკოსთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა

მეოთხე და მეხუთე სხდომები.

მშენებლობა საქართველოში

(მოხსენებელი კორინთელი).

საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში ობიექტიურ მიზეზების გამო მშენებლობის საქმე შეფერხებული იყო. ქვეყნის ყველა საშუალებანი და ძალები მიმართული იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების დაცვისა და განმტკიცებისაკენ. ამ პერიოდის გასვლისთანავე, სახელმწიფო ხმარობს მთელ რიგს ღონისძიებათა მშენებლობის საქმის მაღლე ასაღორძინებლად: ამ მიზნით ს. მ. უ. ს-თან დაარსდა მთლიანი სახელმწიფო ორგანო (კომგოსოორი), რომელიც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკაში მშენებლობის საქმეს.

მშენებლობა 1923 წელს.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ მშენებლობის საქმე ძალიან გამოაცოცხლა.

მრავალ სახელმწიფო წარმოების სამეურნეო ანგარიშზე და გეგმაშეწონილ მუშაობაზე გადასვლამ მშენებლობის წინაშე ფართე სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა.

საგზაო მშენებლობა.

სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე გზები იმყოფება შოსე გზების სამმართველოს განკარგულებაში. ამ გზების შეკეთება, საჭიროებისამებრ პერიოდულად სწარმოებს, რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, რომელნიც ადგილობრივ აღმასკომის უწყებაში არიან, ისინი მეტად წამხდარი და გაფუჭებულია და უსახსრობის გამო მათი შეკეთება არ სწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ გზების შეკეთებამ დიდი ენერგია და სალარი შეიწირა იმ მიზეზის გამო, რომ 1916 წლიდან უკანასკნელ დრომდე, გზები თითქმის 8 წლის განმავლობაში არ შეკეთებულან.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შეკეთებას საქართველოს სამხედრო გზისა, რომელსაც უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

სახელმწიფოს მიერ მიღებულ თანხების მიხედვით მომავალშიაც იწარმოებს რესპუბლიკის შოსე გზათა შეკეთება.

სარწყავი მშენებლობა.

ა.-კავკ. რესპუბლიკების ინტერესთა ერთიანობამ მსხვილ პლანტაციათა მოსარწყავად წყლის გამოყენების საქმეში (მუღანის და სარდარაბათის ველების მორწყვა). შექმნა მტკიცე საფუძველი ა.-კავკასიის წყლის მეურნეობის გასაერთიანებლად ერთს უწყებაში („ზაკვოდხოზი“).

მთელი ა.-კავკასია დაყოფილია წყლის 21 ოლქათ; აქედან საქართველოზე მოდის 9 ოლქი, აზერბეიჯანზე—7 ოლქი, ხოლო სომხეთზე—5.

საქართველოში უკვე სრულდება გასაბჭოების დღიდან დაწყებული 70 ათასი დესეტინის მოსარწყავი არხების გასაყვანად დაწყებული მუშაობა.

უმთავრესი მუშაობა სწარმოებდა დასავლეთ საქართველოში, სადაც ამ მოკლე ხანში დამთავრდება უდიდესი არხის „მაშველის“ გაყვანა.

სამოქალაქო მშენებლობა.

სამოქალაქო მშენებლობის ხელმძღვანელი ორგანოები რამოდენიმეჯერ გადახალისდენ. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ სამოქალაქო მშენებლობაც გამოაცხოველა, და რემონტი გაუკეთდა მთელ რიგს მსხვილ შენობათა, მაგრამ, საერთოდ ამ დარგში ბევრი რამ გაუკეთებელია და ამიტომ აუცილებელია სერიოზული ყურადღება მიექცეს სამოქალაქო მშენებლობას საქართველოში.

ქრონიკა

— **სოციალურ უზრუნველყოფის საქმე ქუთაისის მაზრაში.** ქუთაისის მაზრაში სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განყოფილებას აღრიცხვაზე ყავს აყვანილი ომის 140 ინვალიდი, ამათგან ფულით დახმარება მიეცა 60 კაცს, გაეწია უფასო წამლობა და ექიმობა 18-ს და 14 კაცს საშუალება მიეცა რკინის გზით უფასო მგზავრობის. საერთოთ ზემო-აღნიშნულ მაზრაში დახმარება მიეცა ომის ინვალიდებს 4.099 500.000 მან. შრომის ინვალიდებს 1.614 000.000 მან. ქალაქის ღარიბ მცხოვრებს 800.900.000 მან., გლეხთა კომიტეტების მოწყობაზე დაიხარჯა 1.197.340.000 მან.

— **ელექტროფიკაცია ოზურგეთში.** ცეკავშირის დახმარებით ამ დღეებში დაიწყებენ ქ. ოზურგეთის ელექტროფიკაციის მიზნით მდ. ბჟუჟზე ელექტრო-სადგურის აგებას.

— **სესხი მუშებს.** საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სია ამ მუშა მოსამსახურეთა, რიცხვით 13,895 კაცი, რომელთაც უნდა მიეცეთ სესხი.

— **ცეცხლი—კომკავშირის შენობაში.** 7 დეკემბერს, დილით, რუსთაველის პრ. მდებარე ახალგაზრდა კომკავშირის შენობას გაუჩნდა ცეცხლი ცეცხლმა გადასწვა იატაკი ჭერი და დააზიანა მეორე სართული. ცეცხლი მალე იქნა ჩაქრობილი ცეცხლის მქრობელ რაზმის ენერგიული ზომებით შენობის ფასადი არ არის დაზიანებული.

— **უმუშევართა გაგზავნა სამშობლოში.** ნოემბრის განმავლობაში ტფილისის შრომის ბირჟამ სამშობლოში დააბრუნა 49 უმუშევარი.

— **ახალი ნიხრი ქალ. აბანოებში** ქალაქის გამგეობის აბანოებში 4—5 დეკემბრიდან დაწესებულია ახალი ნიხრი 80 კაპ.—20-კაპიკამდე ჩერვონცებით.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 6 დეკემბერს შრ. ბირჟაში ახლად ჩაეწერა—33 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა—32, მოთხოვნილება იყო—38

— **საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებაში.** ორშაბათს, 10 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ცენტრალური არქივის დარბაზში (ოლღას ქუჩა № 48), მოხდება საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც წაიკითხავენ მოხსენებას: 1) ლეონ მელიქსეთ-ბეგი—„არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ალგეთის ხეობაში“ და 2) შალვა ამირანაშვილი—„ქართული კედლის მხატვრობის სანიმუშო ძეგლის რამოდენიმე ახლად აღმოჩენილი ფრაგმენტი“. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ.

შემთხვევები

— **კოოპერატივის გაქურდვა** 4 დეკემბერს გაქურდეს მუშათა მთლიანი კოოპერატივის მე-13 დუქანი ლენინის ქ. მდებარე № 40 წაღებულია 31 მან და 57 კ. ჩერ.

— **უბედური შემთხვევა** 5 დეკემბერს საღამოს 6 სათზე რუსთაველის პრ. მიმავალ ავტომობილმა გაიტანა წითელარმიელი ბულატოვი. დაშავებული გადაგზავნილ იქნა საავადმყოფოში. შოფერი ვერ შეიპყრეს.

— **შეპყრობა** 3 დეკემბერს შეიპყრეს მე-4 სამილიციო რაიონიდან გაქცეული პატიმარი სერგო მანუჩოვი.

— **მკვლელობა.** 5 დეკემბერს არსენალის საწყობში რევოლვერით თავი მოიკლა „საკრეკის“ კურსანტმა ვლადიმერ გრაბინუცკმა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **შეპყრობა.** 4 დეკემბერს, შეპყრობილ იქნენ ამერიკულ საბავშვო კლუბის გამქურდავნი ზავალკინი ქსენია ტუჩკოვი და ნინა ვინოგრადოვი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ჯამბაზები“.

5 დეკემბერს დადგმული იყო ლეონკოვის ოპერა „ჯამბაზები“ შემსრულებელთა ახალი შემადგენლობით.

ნედდას პარტიას მღეროდა მარკოვა. შესრულება მუსიკალურია, მსახიობის ხმა ხავერდოვანია ლირიულ ადგილებში და ამაღელებელი დრამატიულ ადგილებში. მსახიობმა მშვენივრად შეასრულა არია პირველ მოქმედებაში (ვალსი), მოფიქრებულია მეორე მოქმედების მთელი სცენა.

მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა სილვიოს პარტიის შესრულებით საოპერო დასის ახალმა ბარიტონმა თარხან-მოურავმა. მომღერალი, როგორც სჩანს, მუშაობს, რადგან ახალგაზრდა საოპერო მომღერლისაგან ის გადაიქცა თვალსაჩინო საოპერო შემსრულებლად. თარხან-მოურავს მეტად ლამაზი ტემბრის ლირიული ბარიტონი აქვს, მსახიობის მუსიკალობა ეჭვს გარეშეა; კარგია მომღერლის ფრაზიროვკა, ის დინამიურ სურათებს იძლევა სიმღერაში. მომღერალს ახასიათებს აგრეთვე მკაფიო დიქცია.

პარტიის სცენიური გადმოცემა ბუნებრივი და მოფიქრებულია.

სასურველია მოუსმინოთ თარხან-მოურავს უფრო პასუხისმგებელ პარტიაში.

დანარჩენ შემსრულებელთაგან მშვენიერი იყო ევლახოვი, რომელმაც დიდის ტემპერამენტით შეასრულა კონიოს (ჯამბაზი) პარტია. საუცხოვო იყო განსაკუთრებით არია „იცინე ჯამბაზო“.

ქაშაკაშვილი კარგად მღერის ტონიოს პარტიას და საერთოდ ნამდვილ სახეს იძლევა. მსახიობმა ყურადღება უნდა მიაქციოს დაბალ რეგისტრს,—ის რამდენიმეთ დახშულია.

კარგი იყო ორკესტრი, რომელსაც ვანო ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა.

მუსიკოსი.

— **ქართული თეატრი სოხუმში.** ქართული წარმოდგენების გამართვა უკვე დაიწყო ქ. სოხუმში. დასი უმთავრესად შესდგება ტფილისიდან მოწვეულ მსახიობებისაგან, ი. ქიქიძის რეჟისორობით.

— **ნინო ჩხეიძის გასტროლები ბათომში.** ბათომის ქართული აკადემიური დრამის თეატრის დირექციამ დამსახურებული მსახიობი ნინო ჩხეიძე მიიწვია საგასტროლოთ.

— **22 მილიარდი ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბს.** ორშაბათს, 3 დეკემბერს ცირკში გამართულ საღამოდან ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის სასარგებლოდ გადაიდო 22 მილიარდი მან.

— **პრემიერები.** რუსთაველის თეატრში ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება „მაკბეტ“.

— **„დაისი“.** ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, რომლის წარმოდგენა განზრახული იყო 13 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება 19 დეკემბერს.

დღეს თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა.** პროფკავშირის წევრებისათვის—„რიგოლეტო“.

— **რუსთაველის თეატრი.** პროფკავშირის წევრებისათვის—„გმირი“.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

ბორჯომის რაიონი

როგორც რაიაღმასკომი, ისე თემის აღმასკომიც და სოფლის გლეხთა საბჭოები დაინტერესებული არიან განავითარონ ყველა დარგი ცხოვრებისა, განსაკუთრებით კი სასოფლო-მეურნეობა რომ თავის დონეზე დადგეს სასოფლო-სამეურნეო დარგი, საჭიროა გადიდებულ იქნას შტატი აგრონომებისა, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ გლეხობას.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 2|3 ნაწილი შემოტანილია.

სოფლის მშრომელთა შორის ცუდათ არის დაყენებული პოლიტ-განათლების საქმე. ჯერ ერთი, რომ აქ ძალიან ნაკლებად არის სამკითხველო-ბიბლიოთეკები და სადაც არის, მათშიც ველარ იპოვნიან სულიერ საზრდოს-გაზეთებს, რომ გლეხობა გაერკვიოს თანამედროვე მდგომარეობაში, ასეთ მაგალითებს ვხედავთ ჩვენ არა თუ სოფლებში, არამედ თვით რაიონულ ცენტრშიაც (ქ. ბორჯომში), სადაც არსებობს ორი სამკითხველო-ბიბლიოთეკა და სადაც მკითხველი ველარ დაინახავს ახალ გაზეთებს. საჭიროა ადგილ. პოლიტ-განი გამოფხიზლდეს და მეტი ყურადღება მიაქციოს სამკითხველოებს სოფლად, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ჩვენი გლეხობისთვის.

სწავლა-განათლების საქმე სუსტად არის დაყენებული ზოგიერთ სოფლებში, რომლებიც დაშორებული არიან რაი-ცენტრიდან თითქმის 35—40 ვერსით. საჭიროა, როგორც რაი-განათლ. განყოფილებამ, ისე განათლების კომისარიატმაც მიაქციოს ამას სათანადო ყურადღება.

საერთოდ უნდა ითქვას რომ აქ მუშაობა განათლების დარგში მოისუსტებს, იმედია, როგორც ახლად არჩეული საბჭოები ისე უმაღლესი ორგანოები ამ მიმართულებით გააძლიერებენ მუშაობას.

საბჭოთა არჩევნები ჩინებულად ჩატარდა, გლეხობა სრული ნდობით უყურებს კომპარტიას; ახალ საბჭოებში დიდ უმრავლესობას კომუნისტები შეადგენენ.

გ. მიქაძე

აცანა (გურია)

ამ თემში მცხოვრებთა რიცხვი უდრის 340 კომლს, მოსახლეობა ძლიერ ღარიბია, მსხვილი რაიონული ერთეულების შექმნის შემდეგ, ეს თემი მიწერილ იქნა ნაგომრის რაიონზე. ამ თემის მცხოვრებლებმა ეს შეუსაბამოთ სცნეს და მოითხოვეს ლანჩხუთის რაიონზე მიწერა, ვინაიდგან მასთან არიან დაკავშირებული როგორც ეკონომიურათ, ისე კულტურულათ. ეს მოთხოვნილება იქნა დაკმაყოფილებული.

მიუხედავათ იმისა, რომ ეკონომიური სივიწროვე დიდია, ხალხი მაინც დაინტერესებულია კულტურულ მუშაობით. აქ არის შემდეგი დაწესებულებანი: სამკითხველო, შვიდწლედი და ოთხწლედი სკოლა, აფთიაქი, კოოპერატივი.

ეხლა, ანტირელიგიური კამპანიის ჩატარების შემდეგ, ხალხს ეკლესიები გადაუკეთებია სახალხო სახლებად. ძველი ხის ეკლესიები დაუშლიათ და ერთ ალაგას აუგიათ საუკეთესო პლანის სახალხო სახლი, რომელზედაც მუშაობა დამთავრდება ახლო მომავალში. როცა უცქერ ასეთ უზარმაზარ შენობას, განცვიფრებაში მოდიხარ ადამიანი, თუ როგორ შესძლო ასეთმა პატარა კუთხემ ამ ვეებერთელა სახლის აგება. ეს სწორეთ მისაბაძათ უნდა ჩაითვალოს ყველა ამხანაგებისათვის, რომლებიც თემებში მუშაობენ.

სამკითხველო საუცხოვოდ არის ჭორთული, შიგ მოიპოვება ჩვენი ბელადების თითქმის ყველა სურათები, წიგნები, ახალი ჟურნალ-გაზეთები; მაგალითად, 15 ნოემბერს ჩვენ იქ ვნახეთ 14 ნოემბრის გაზეთები. ხალხი ამ საქმით დიდათ დაინტერესებულია.

თუთხმეტ ნოემბერს აქ იყო დანიშნული თემის საბჭოს ხელახალი საარჩევნო კრება. დაესწრო ამომრჩეველთა 95 პროც. მოხსენება საარაიონო საარჩევნო კომისიის სახელით გააკეთა ამხ. კ. ბარამიძემ. ხალხი მოხსენებას გულდასმით უსმენდა. მოხსენების შემდეგ მოხდა ადგილობრივ საბჭოს არჩევნები. მიღებულ იქნა კომფრაქციის სია ერთხმად. კრებაზე გაირჩა აგრეთვე ადგილობრივი ხასიათის საკითხები, გზების გაყვანის შესახებ და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ამ თემს დიდი მომავალი აქვს კულტურული მხრით. ლანჩხუთის რაიაღმასკომის მორიგ საქმეს შეადგენს აქტიური დახმარება გაუწიოს აცანის თემს ლანჩხუთ-აცანას შორის საჭირო გზა-ტკეცილის გაყვანის საქმეში, რაზედაც დიდათ მონდომებულია ეს თემი.

მგზავრი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის განთავისუფლების შესახებ მისი კუთვნილი სხვადასხვა ფუნქციისაგან.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მოეხსნას მუშათა და გლეხთა ინსპექციას შემდეგი ფუნქციები:

1) სავალდებულო დოკუმენტალური კონტროლი და შემდგომი მთელი დოკუმენტალური რევიზია ყველა სახალხო კომისარიატის საშემოსავლო და საგასავლო დოკუმენტებისა, ხოლო დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას წარადგინოს ხოლმე საერთო დასკვნა ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხის შესრულების შესახებ შედგენილი ანგარიშის თაობაზე.

შენიშვნა: შემდგომი დოკუმენტალური კონტროლი შემოსავალ-გასავლისა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიაც ამ კონტროლის განგრძობა საჭირო იქნება,—დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატს საამისო ცალკე დებულების წესისამებრ.

2) სავალდებულო წინასწარი განხილვა უწყებების სააღრიცხვო განზრახულებათა.

3) დასკვნის მიცემა ცალკე სახელმწიფო, ადმინისტრატიულ და სამეურნეო ორგანოებისათვის საშუალებათა მიცემის შესახებ როგორც აღრიცხვის ზედმეტი კრედიტების წესით, ისე სესხისა და დახმარების მიცემის წესით, ხოლო აღნიშნული ფუნქციები ამიერიდან დაეკისროს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

შენიშვნა. ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო გეგმის სამმართველოს მოწყობის შემდეგ, დასკვნას მე-3 მუხლში აღნიშნული საკითხების შესახებ, მისცემენ სახელმწიფო გეგმის სამმართველო და ფინანსთა სახ. კომისარიატი—კუთვნილებისამებრ.

4. მეთვალყურეობა ცალკე ღონისძიებათა ფინანსიური მმართველობის სფეროში, როგორიც არის: მეთვალყურეობა კასათა ერთიანობის შესახებ გამოცემული დეკრეტებისა და დადგენილებების აღსრულებისათვის, იმ საავანსო ასიგნობათა დეკრეტებისა და დადგენილებების აღსრულებისათვის, რაც აღემატება სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ ნორმასა და სხვ., ხოლო ეს ფუნქციები დაეკისროს მარტოოდენ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

5) სავალდებულო მონაწილეობა ხარჯების ყოველთვიური განაწილების განხილვაში უწყებათათვის კრედიტების მისაცემად და ამ კრედიტების მოსახმარებლად როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ დაწესებულებებში.

6) განხილვა საკითხებისა კრედიტების გადატანის შესახებ აღრიცხვის ერთი ნაწილიდან მეორეში, აგრეთვე საკითხებისა საკრედიტო სიების შედგენის შესახებ, და კრედიტების გადარიცხვის შესახებ საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილებაში და წინააღმდეგ; შესრულება ანგარიშებისა და აგრეთვე ყოველგვარი საკითხი რაც დაკავშირებულია კრედიტის დახურვასთან აღრიცხვის დამთავრებისას; ამასთანავე ყველა აღნიშნული მოვალეობა დაეკისროს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

7) ყოველგვარი სახის მთლიანი მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა სახელმწიფო ორგანოთა ცალკე ფულადი ოპერაციებისა და, ამასთან დაკავშირებით, მონაწილეობა მასალისა და ფასეულობის მიღებაში და ჩაბარებაში, მონაწილეობა საჯარო ვაჭრობის წარმოებაში, სავალდებულო რევიზია სახელმწიფო ორგანოთა მოქმედების ცალკე დარგისა, რაც აღიძვრის კერძო განცხადების ან საჩივრის გამო და აგრეთვე ცალკე სახალხო კომისარიატების ცნობისამებრ; მოწყობა მუდმივი სარევიზიო ჯგუფებისა ცალკე სახელმწიფო საწარმოებში და დაწესებულებებში; გამოკვლევის მოხდენა პროკურატურისა, სასამართლოს და საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით და აგრეთვე სავალდებულო მეთვალყურეობა ხელშეკრულებათა სწორი და მეურნეობრივი დადებისათვის და სამუშაოს გაცემისათვის სხვადასხვა საგანთა დამზადების შესასრულებლად

8) სავალდებულო მონაწილეობა საუწყებათაშორისო და უწყებათა თათბირებზე და სხდომებზე, სადაც ამ მონაწილეობას აქვს კონტროლის ხასიათი ან და ხასიათი ცალკე ორგანოთა მუშაობის შეთანხმებისა ყოველგვარი მცირე დავალებების და საკითხების სფეროში.

შენიშვნა. დაევალოს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს ორი კვირის განმავლობაში წარუდგინოს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სია იმ მუდმივად მომქმედი კომისიებისა, რომლებშიაც მონაწილეობს მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

9) სავალდებულო წარდგენა დასკვნისა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში ყოველგვარი საკითხის შესახებ, რასაც უშუალო კავშირი არ ექნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ახალ მიზნებთან სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის.

10) აღსრულება სპეციალურ მოვალეობათა, რაც მიმართული იქნება კერძო-უფლებრივი ინტერესის დაცვისთვის; მიღება და განხილვა განცხადებისა და საჩივრისა, რომელიც არ შეიცავს ცნობას სახელმწიფო აპარატის არასრულყოფილობის შესახებ ან იმის შესახებ, რომ თანამდებობის პირნი იჩენენ გულგრილობას მუშათა და გლეხთა საჭიროებისა და ინტერესებისადმი, რაც სახელმწიფო აპარატს აშორებს მშრომელთა მასებს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომის. საბჭოს თავმჯდომარე

მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ორშაბათს, 10 დეკემბ., დილის 10 ს. შესდგება **ტფილისის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თათბირი** რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა წარმომადგენლებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. რაიონულ საგიტაციო-საპროპაგანდო, განყოფილებათა ანგარიშები. 2. თვითგანვითარების ბიუროების შესახებ. 3. მიმდინარე საქმეები.

მოწვეულნი არიან რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეები.

ტფილისის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესენი.

ს. კ. პ. ტ. ორგან. მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ორშაბათს, 10 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, საუბნო კომიტეტის ბინაზე (პლეხანოვის პრ. № 96) დანიშნულია **თათბირი მე-2 უბნის მელითონეთა კულტკომისიისა:** (არსენალის, ავტო-სახელოსნოსი № 1, ავტოსახელოსნოსი 3, სპილენძის ჩამომსხმელი ქარხანა და 1 და მე-2 საბჭოთა ქარხნების).

თათბირზე მოწვეულნი არიან კულტკომისიის წევრნი და აღნიშნულ წარმოებათა უჯრედების მდივნები.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე კოგანი.

— **საქ. კომ. პარ. ტფ. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება**, რომ დღეს, 8 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ტფ. კომიტეტის ბინაზე **დანიშნულია დამატებითი პოლიტგამოცდა** იმ ამხანაგებისათვისაც, ვისაც არ გაუვლია ეს გამოცდა უბნებში.

ტფ. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების
მდივანი მ. ესსენი.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— დღეს, 8 დეკემბერს საღ. 7 საათ. ნ. ა. თამამშევის ხელმძღვანელობით მათემატიკური ოთხწლედის სემინარია იწყებს მეცადინეობას.

— ორშაბათს, 10 დეკემბერს საღ. 8 საათზე დანიშნულია კომისიის სხდომა შვიდწლედის პროგრამის შესადგენად.

ორშაბათს, 10 დეკემბერს საღ. 7 საათ. მოწვეულია შრომის სკოლის და ტეხნიკუმის ფიზიკის მასწავლებლები ფიზიკური წრის საორგანიზაციო და მუშაობის გეგმის შესადგენად.

სახლის გამგე შიუკაშვილი.

განცხადებები

ნინო ივანეს ასული და ნიკოლოზ ალანის ძე მდივანი შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქ. ბერლინში 12 ოქტომბერს ძვირფასი შვილის

საშასი

პანაშვიდი კვირას 9 დეკემბერს დღის 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 255—1—1

სახალხო თეატრის საიუბილეო კომიტეტი, დრამის გამგეობა და დასი ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ კვირას, 9 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, სახალხო თეატრში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სახალხო თეატრის სასიქადულო მოღვაწის

მარიამ დემურიას

ხსოვნის აღსანიშნავად 254—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები; დედა ელისაბედ, მამა სიმონ, ძმები ბიქტორ და პროკოფი, დები ნინა და ლიუბა აუწყებენ ნათესავებს მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ამა წლის 8 დეკემბერს შაბათს, დღის 12 საათზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის თავზე პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილ სტუდენტ

ბენიამენ სიმონის ძე გორგოშიძისა

ქალაქ ოზურგეთში ექადიის სასაფლაოზე. 250 1—1

რუსთაველის
თეატრი
ქართ. აკად. დრამა

კვირას, 9 დეკემბერს,
ჯონ-სინგის
გმირი
სამშაბათს, 11 დეკემბერს
მეორეთ ერ. ტოლლერის
ადამიანი-მასსა
ხუთშაბათს, 13 დეკემბერს
ოტელო

ნის. 776—3—1

სახელმწიფო
ოპერა

დღეს, 8 დეკემბერს
პროფკავშირების წევრებთათვის
1. რიგოლეტო
2. ბალეტი
ხვალ, 9 დეკემბერს
მეფის საცოლე

ნის. 786—2—1

ამინდი ამიერ-კავკასიაში

6 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსიით): ფოთში.... 8 გრ., ბათომში... 12 გ., სამტრედიაში.... 7 გრ., ჭიათურაში... 4 გრ., წიფაში.... 2 გრ., ბორჯომში.... 2 გრ., სურამში.... 1 გ., ტფილისში.... 0 გ., ერევანში.... 2 გრ., ბაქოში.... 2 გრ., ქუთაისში... 9 გრ., მუკუზანში... 0 გრ., სოხუმი... 10 გრ.

ღრუბლიანობა: ქუთაისში—მოწმენდილია, ძლიერ საგრძნობი წიფაში და სურამში. სრული—ყველა დანარჩენ ადგილებში.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ—აღმოსავლეთის, გრიგალი. ბათომში—ჩრდილ.-ჩრდ.-აღმოსავლეთის, ზომიერი. სამტრედიაში—აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, გრიგალი. ქუთაისში—აღმოსავლეთის, გრიგალი; ჭიათურაში—სამხრეთ-აღმოსავლეთის, ნელი; წიფაში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ძლიერ მაგარი; სურამში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი. ბაქოში—აღმოსავლეთის, ნელი; დანარჩენ ადგილებში წყნარი ან სულ არ ქრის.

ნალექი: უმნიშვნელო ტფილისში, მუკუზანში და ერევანში.

[illegible] ფოთში—ზომიერი ღელვა. ბაქოში ნელი.

ამინდი საქართველოში: მოღრუბლულია, გრილა. აღმოს ლეთ საქართველოში ყინვ ალაგ-ალაგ ნალექი, ძლიერ ქ მდ. რიონის ხეობაში

ჩრდილოეთ-კავკასიაში

(6 დეკემბერი, დილის 7 საათი)

კავკაზი: ტემპერატურა... 2 გ ღრუბლიანობა—სრული, აღმოსავ თის ნელი ქარი.

კიზლიარი. ტემპერატურა... 4 გ მოწმენდილია, ჩრდილოეთ-დასავ თის გრიგალი.

ტფილისი

7 დეკემბერი, დღის 1 საათი

ტემპერატურა: 2 გრ.

ღრუბლიანობა: 10

ქარის ქროლა: სამხრეთ-აღმოს ლეთის, ძლიერ ნელი.

თეატრი
და
ცხოვრება
(თეატრი. მუსიკა. მხატვრობა. ქანდაკობა და სხ.)

იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით და დამსახურებულ მწერალთა მონაწილეობით გამოვა ა. წ. დეკემბრის 9-ს ყოველკვირეულად.

ფასი 15 კაპ. ჩერვ.

მეგაზეთეებმა მიმართონ ბეჭ. სიტყვის ექსპედიციას, მყიდველებმა—მეგაზეთეებს, რკინისგზებზე—კიოსკებს.
გამომცემელი: ომში დაჭრილთა შრომის არტელი
„ახალი წრე“

5—2—6

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. გაერთიანებულ რკინისგზათა გამგეობა

აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან (ტ ლისი, სადგურის ქ. № 1) ა. წ. 1 დეკემბრისათვის დანიშნული

კონკურენცია

საიჯარო წესით ბარგის და ტვირთის დატვირთვისა, გადმოტვირთვისა, გადატვირთვის მუშაობის გასაცემათ ტვირთების დაცვასთან ერთად აგრეთვე, მგზავრებისათვის სამსახურის გაწევა ბარგის მზიდველების მ **საქართველოს ხაზისა და აზერბეიჯანის ხაზის** სადგურებზე

გადადებულია

და ასეთები **დანიშნულია ა. წ. 12 (თორმეტ) დეკემბრისათვის**, დღის საათზე. კრ. 761 2—

ალმასკომის (ყოფილ სოლოლაკის ქ. № 7) საქონლის ბირჟის ქვეშ

გაიხსნა მე-3 სახელმწ. შრომის შემნახველი და სახურდავი კას

იყიდება ღერბის და ფოსტის მარკები, სახელმწიფო 6 პროცენტიანი მომგებიანი სესხის ბილეთები, ხურდავდება მომგებიან ბილეთების კუპონები.

კასა ღიაა: 10—4 საათ. დღით და 6—8 საღამოს.

762—2—

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფ
სახ. კომისარიატი

აცხადებს, რომ 10 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე კომისარიატის ბინაში (რუსთაველის ქ. № 48) დანიშნულია

ხელახალი საჯარო ვაჭრო

საქართველოს—სამხედრო გზაზე (მცხეთიდან ყაზბეგამდე და კვირაში ორჯერ ფოსტის გადატან-გადმოტანის იჯარით აღებ

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ხელახალ რო ვაჭრობაში, უნდა იქონიონ თან განცხადებული ფასის ერთი მე მოიჯარადრეს შეუძლია ფოსტის გადაზიდვა როგორც ცხენით, ისე მობილით. ყველა ცნობების მიღება ამის შესახებ შეიძლება კომისარი ფოსტის განყოფილებაში.

ამიერ-კავკ. ფოსტა-ტელ. სახ. კომისარი—ბონდარიევი.
ფოსტის განყ. უფროსი—ცაგარეიშვილი.
ნაწილის უფროსი—არჯევანიძე.

765

სოფელ ქარელიდან გამოიპარენ ორ დეკემბერს და გაიზნენ უკვლოდ **ორი ბავშვი**, გვარი ნარიაშვილი, რომლებიც არიან წლ ბით უფროსი 13 წლის, უნცროსი 11 წლ. სახელი უფროსის გიო მეორესი შალიკო, ტანათ პატარები. უფროსი შავგვრემანი და თავ რია ტყავის ქუდი და ლურჯი ხალათი აცვია, მეორე კი ქერა, თავ ლი და პერანგის ამარა. მნახველებს ვთხოვთ, თუ რამე იციან მათ გვაცნობონ შემდეგ მისამართით: ჩერქეზოვის ქუჩა № 112. ნარიაშვილი. 251 1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

სხივებით რენტგენის დ'არსონვალის

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის

ნელობით. ტფილისი, უჩერდანოვის ქ. № 20. (126—25—

დაიკარგა საბინაო წიგნი სახლი № 18. ფარკოპელის ქ თე მათეს ძე გვიმარაძის სახელზე. ჩაითვალოს ბულად. 252—1—1

დაიკარგა უმუშევართა ბირჟის რკინისგზის სექციის მიერ მული მოწმობა ალექსანდრე ივანეს ძე სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 253—1—

დაიკარგა რკინის გზის მოწმობა № 1841. ეკატერინე ასული ძირტკბილაშვილის სახელზე. ჩაითვალოს მებულად. 256—1—

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3316 ალექსანდრე სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 257—

დაიკარგა საოპერო სასეზონო ბილეთი გაზ. „მუშის“ ჩაითვალოს გაუქმებულად.

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა სამ. წერეთლის ქ. № 4.